შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№16 (9.926)

23-30 მაისი 2020 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

თავისუფლება ისე არ მოდის...

„ხომ იცით, მონობაში არწივი ას წელს ვერ ცოცხლობს, ხოლო თუ თავისუფალია, ორასსაც გადააჭარბებს. არ გინახავთ ქათამზე ნადირობის დროს დატუსაღებული ქორი? დიაღ, როცა უკვე თავისუფლებაში აღზდილ ქორს, თავისუფლებას ჩვეულს, ატუსაღებს ვინმე, იგი ერთ კვირასაც ვერა სძლებს მონობაში და კვდება. რამ მოკლაო, რომ იკითხოთ, „გულმაო“ გიპასუხებენ“ - წერდა ვაჟა-ფშაველა. ამ სიტყვებით მან ქართველი ერის ხასიათიც და საუკუნეობრივი იდეაც ახსნა. მისი თანამოაზრე ილია ჭავჭავაძისა და სხვა თერგდალეულთა დევიზიც ხომ ეს იყო: ***„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო“.*** საქართველოსა და ერის დამოუკიდებლობისათვის მეცხრამეტე საუკუნის მებრძოლთა იდეას ხორცშესხმა არ ეღირსა. ერთგულთა ოდენობა საკმარისი არ აღმოჩნდა მაშინ.

დამოუკიდებლობის იდეა მანამდე ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაიცვა, როცა ერეკლე მეორის გადაწყვეტილებას პოემა „ბედი ქართლისა“ უძღვნა. გალიაში გამომწყვდეული ბულბულის პოზიციიდან დაანახა ყველას თავისუფლებასა და ტყვეობასშორის არჩევანის სიმძიმე.

 თავისუფლება უბედურებას გამორიცხავს, მონობა კი – ბედნიერებას. თავისუფლება ამოსავალი წერტილია - **„ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება, თუ მოაკლდება თავისუფლება?“** ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში არაერთხელ დარწმუნდა ქართველი ხალხი.

1918 წელს მიაღწია ქვეყანამ სასურველ შედეგს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ორმა დიდმა მოვლენამ - მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩასახულმა ეროვნულმა მოძრაობამ და პირველმა მსოფლიო ომმა - განაპირობა. მაგრამ დამოუკიდებლობა თავისუფლებისმოყვარე ხალხისთვის დროებითი და ხანმოკლე აღმოჩნდა ...

წარსული ჩვენს წარმოდგენაში ხშირად სევდის მომგვრელ სასაფლაოსა ჰგავს ან კიდევ „მიტოვებულ ქალაქს“, როგორც ერთმა მგოსანმა თქვა. მომავალი ოცნებაა, „მუდმივი ზღაპარი მზის სამეფოზე“ და საუკეთესო ნაწილი ჩვენი სულისა სწორედ ამ ოცნებაშია შეტანილი. ოცნებების ასრულებას თავისი ფასი აქვს. ჩვენს ერს ეს მეტისმეტად ძვირი დაუჯდა. საქართველომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას მრავალი საუკუნე და ბევრი სისხლი შესწირა. **„მიწა ჩემი სველია სისხლისა და ცრემლისგან; გული ჩემი სავსეა დარდისა და სევდისგან“**-ეს მიხეილ ჯავახიშვილის ჩანაწერია საქართველოს გასაბჭოების დღეებში...

26 მაისს საქართველოში დამოუკიდებლობის დღე აღინიშნება. ზუსტად 102 წლის წინ, 1918 წლის 26 მაისს, თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომლის დამოუკიდებლობა ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა ცნეს, არსებობა არასრული სამი წლის თავზე, საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ, შეწყვიტა. საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა 70 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, შეძლო.

დამოუკიდებლობის დღიდან კვლავ ბრძოლა უწევს საქართველოს. რუსეთი ცდილობს, თავისი კლანჭებიდან არ გაგვიშვას. **„გახსოვთ, რა უთხრა ტარას ბულბამ ანდრის, სანამ მოკლავდა? «მე გშობე, მევე უნდა მოგკლა». რუსეთმა დაშლილ-დანაკუწებული ქართული სამეფო-სამთავროები დაიკავა. იგი თვლის, რომ ტერიტორიულად საქართველო მან გააერთიანა“**- ამბობდა აკაკი ბაძრაძე მეოცე საუკუნის ბოლოს. სამწუხაროდ, „ერთმორწმუნე ძმის“ პოლიტიკა დღემდე უცვლელია. უბრალოდ, ბოლო პერიოდში ტაქტიკა შეცვალა და ღია ომი მცოცავი ოკუპაციით ჩაანაცვლა.

მაგრამ ვერც 70-წლიანმა „თანაცხოვრებამ“ და ვერც სიკვდილის შიშმა ვერ ჩაახშო ქართველებში თავისუფლებისადმი ლტოლვა და სამშობლოს სიყვარული. ამისთვის კვლავ ძვირ ფასს იხდის საქართველო-გმირები ყველაზე ძვირფასსიცოცხლეს სწირავენ უშურველად ქვეყნის დამოუკიდებლობას.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეებში გვახსენდება გიგა ოთხოზორიას მკვლელობა, რომელსაც 4 წლის წინ, ამ დღეებში, ოკუპანტებმა სამშობლოს სიყვარული არ აპატიეს. ასეთი მაგალითები მრავლადაა.

ზვიად გამსახურდია პრეზიდენტის რანგში ამბობდა: **„ქართველი ერის ისტორია, საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორია, ქართული კულტურა და ტრადიციული ღირებულებანი ეს არის ჩვენი წარსული, ეს არის ჩვენი სიამაყე. თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი ხალხი, რელიგიური მსოფლმხედველობისა და ეროვნული ცნობიერების აღორძინების საზოგადოება – ეს არის ჩვენი აწმყო, ჩვენი ბრძოლის შედეგი... საქართველოს საერთაშორისო ცნობის პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული გლობალურ პოლიტიკურ ცვლილებებთან. ფაქტობრივად დამთავრდა ცივი ომი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. სულ უფრო მეტ მხარდაჭერას იძენს თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის იდეები. ამის ნათელი დადასტურებაა ევროპის გაერთიანებული ქვეყნების კავშირურთიერთობანი, ინიციატივა, ამერიკის კონტინენტის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის თაობაზე, განცხადებულია ახალი პოლიტიკური აზროვნებისა და მსოფლიოს ახალი წესრიგის პრინციპები. ზემოთთქმულიდან გამომდინარე ვთვლით, „ჩვენ ყველანი მომავლის იდეალებით ვცხოვრობთ, თვით მაშინაც კი, როცა ზნეობა ადამიანობის ზედმეტ დამატებად მიგვაჩნია და არსებობის აზრს „მომენტის შერჩევაში“ ვხედავთ“.**

გერონტი ქიქოძე

რომ ქართველი ერის უფლებას და ურყევ ნებას-იცხოვროს დამოუკიდებელ სახელმწიფოში, ექნება მსოფლიოს დემოკრატიული სახელმწიფოების თანადგომა. საქართველოს რესპუბლიკა მსოფლიოს სახელმწიფოებთან ურთიერთობას ააგებს თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთხელსაყრელობის და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებზე. საქართველოს რესპუბლიკა შეუერთდება უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო შეთანხმებებს ერთიანი, მშვიდობიანი თანაარსებობის ყველა სფეროში.“ დღეს ყველაზე ახლოსაა ჩვენი ქვეყანა ზვიადის საქართველოსთან.

ჩინური ანდაზაა - „თუ გინდა იდგე - სულ უნდა ირბინო“. ახლის ძიება, მოქმედება და აღსრულებაა კაცობრიობის სიცოცხლის აზრი და დევიზი. საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტია კი განვითარება და ევროპულ ოჯახში ინტეგრაციაა, რომელიც გულისხმობს განათლებულ და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს, ვინც ქვეყნის მომავალზე პასუხისმგებლობა უნდა იტვირთოს.

ინგა შიოლაშვილი

C M Y K

წითელი ჯვრისა და მერიის ერთობლივი დახმარება „ფრონტერას“ თანამშრომლებს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივითა და ,,წითელი ჯვრის“ მხარდაჭერით ნავთობკომპანია ,,ფრონტერას'' თანამშრომლებს, რომელთაც 17 თვის განმავლობაში ხელფასი არ აუღიათ, სასურსათო და ჰიგიენური ამანათები გადაეცათ. ჰუმანიტარულ აქციაში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და ,,წითელი ჯვრის“ დედოფლისწყაროს ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნათელა თამაზაშვილი მერიის თანამშრომლებთან და მოხალისეებთან ერთად დაესწრნენ. აქციის ფარგლებში საკვები პროდუქტები და ჰიგიენური საშუალებები 81-მა დაზარალებულმა ოჯახმა მიიღო.

***

უკვე რამდენიმე თვეა, ნავთობმომპოვებელი კომპანია „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ დედოფლისწყაროელი თანამშრომლები კუთვნილ ხელფასს ვითხოვთ. ამ ბრძოლაში ჩვენ მხარში დაგვიდგა როგორც ადგილობრივი ხელისუფლება, ასევე „გაზისა და ნავთობის კორპორაცია“. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიამ“ საარბიტრაჟო დავა წააგო. ჩვენც იმედით ველოდებით, რომ სამართალი აღდგება და კუთვნილ რამდენიმეთვიან დავალიანებას უკანონოდ გათავისუფლებული 84 თანამშრომელი მივიღებთ. ხელფასისა და საარსებო საშუალებების გარეშე დარჩენილებს ისევ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოგვაქციეს ყურადღება და ამ დღეებში სასურსათო პროდუქტით დაგვეხმარნენ. გვინდა, ამ რთულ დღეებში ჩვენი გვერდში დგომისთვის დიდი მადლობა გადავუხადოთ პარლამენტის წევრს **ირაკლი შიოლაშვილს**, მუნიციპალიტეტის მერს **ნიკოლოზ ჯანიაშვილს**, საკრებულოს თავმჯდომარეს **ნუგზარ პაპიაშვილს** და ყველას, ვინც ჩვენი გასაჭირი გულთან ახლოს მიიტანა და მხარში ამოგვიდგა.

„ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ თანამშრომელთა სახელით
გელა ჩიბუხაშვილი

ეპიდსიტუაცია კახეთის რეგიონსა და საქართველოში

კახეთში ეპიდსიტუაცია კვლავ სტაბილურია. 22 მაისის მდგომარეობით Covid-19 -ის არცერთი ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა არ რეგისტრირდება. თვითიზოლაციაში იმყოფება 16 მოქალაქე. 4 მოქალაქე მოიხსნა თვითიზოლაციიდან. რაც შეეხება კარანტინის სივრცეებს, 8 ლოკაციაზე იმყოფება 245 მოქალაქე. ნიმუშების აღება გრძელდება როგორც ცხელების კლინიკებიდან, ასევე კარანტინის სივრცეებიდან. ასევე მიმდინარეობს გაფართოებული ანუ მიზნობრივი ტესტირების ფარგლებში მაღალი რისკის ჯგუფების ტესტირებაც, კერძოდ სამედიცინო პერსონალი, შშმ პირების და მოხუცებულთა თავშესაფრების ბენეფიციარები და მათი მომვლელები, საერთაშორისო გადაზიდვების მძღოლები, კარანტინში მყოფი პირები და კარანტინის მომსახურე სასტუმროს პერსონალი, საბაჟოს თანამშრომლები. 21 მაისს აღებული და გაგზავნილი იქნა ლუგარის ცენტრში 286 ნიმუში. 245 ნიმუშის ტესტირების შედეგი ცნობილია და ნეგატიურია.სულ კახეთის რეგიონში აღებული და ლუგარის ცენტრში გაგზავნილია 3634 ნიმუში, აქედან 1166 მედპერსონალია, 1365 კარანტინის ვიზიტორების და სასტუმროს პერსონალი, შშმ პირი - 193.

დედოფლისწყაროს ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მარიეტა გონაშვილის ინფორმაციით **„დედოფლისწყაროში 2 ადამიანი იმყოფება თვითიზოლაციაში, ე.წ „ტვირთმზიდების“ მძღოლები. ორივე პირის ანალიზი გაიგზავნა ლუგარის ლაბორატორიაში და პასუხები უახლოეს მომავალში იქნება ცნობილი. აქვე მინდა დავამატო, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით, შეზღუდვები მხოლოდ ნაწილობრივ მოიხსნა. ძალაში რჩება დახურულ სივრცეში, მათ შორის მაღაზიებსა და აფთიაქებში, ნიღბის ტარება. სამწუხაროდ, ყველგან აღარ არის დაცული უსაფრთხოების ეს ნორმები. მოვუწოდებ მოსახლეობას, რომ კვლავ დაიცვან უსაფრთხოების ნორმები, რადგან კორონავირუსის საფრთზე ისევ არსებობს“.**

რაც შეეხება მთლიანად ქვეყანაში არსებულ სტატისტიკას. 22 მაისის მონაცემებით, საქართველოში კორონავირუსის დადასტურებული შემთხვევაა - 723, მათ შორის გამოჯანმრთელებულია - 495, გარდაცვლილია - 12, კარანტინის რეჟიმშია - 3259, სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ - 323, უცხოეთიდან სამკურნალოდ გადმოყვანილი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობაა - 3.

18 მაისი – მუზეუმების მსოფლიო დღე
რეკომენდაციების სრული დაცვით, თუმცა საინტერესოდ

კორონავირუსმა გამორჩეული რეჟიმი დაუწესა ადამიანებს. დისტანციური მუშაობის ფარგლებში ბევრმა ადამიანმა გააბრძოლა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება. არსებობს ამა თუ იმ დარგის ტრადიციული დღესასწაული, რომელსაც გვერდს ვერ აუვლი.

ასე მოხდა დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შემთხვევაშიც. მართალია, მუზეუმის შენობაში მიმდინარე რემონტის გამო მუზეუმის კარი არ დაკეტილა და თანამშრომლები, დირექტორი დალი გურასპაულთან ერთად, მორიგეობით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ შემოქმედებიოთი მუშაობა და დამთვალიერებლის მიღება შეწყდა. თუმცა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არის დღეები, რომელსაც გამორცეული დატვირთვა აქვს ორგანიზაციისათვის. მუზეუმებისათვის ასეთი 18 მაისია. ამ დღეს მთელი მსოფლიოს დიდი თუ პატარა მუზეუმი მუზეუმების მსოფლიო დღეს აღნიშნავს და გამორჩეულ ღონისძიებებს ატარებს. წელს, კორონავირუსის ეპიდემიიდან გამომდინარე, რეკომენდაციების სრული დაცვით მუზეუმმა მაინც შეძლო და შემოქმედებითი კონფერენცია გამართა. მართალია, საგულდაგულოდ და საინტერესოდ მომზადებულ მოხსენებებს ტრადიციულად გადაჭედილი დარბაზი არ უსმენდა, მაგრამ დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ილია მარტყოფლიშვილი სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელ ლალი მეხრიშვილთან ერთად მაინც ეწვია მუზეუმში. სტუმარ-მასპინძელთა რაოდენობა დასაშვებ ნორმას, ნამდვილად, არ აღემატებოდა. მუზეუმის სპეციალისტებმა საინტერესო თემები წარმოადგინეს. მუზეუმის ღვაწლომოსილმა თანამშრომელმა ლალი ბასილაშვილმა, როგორც ყოველთვის, ვრცელი და საინტერესო კვლევა შესთასვაზა მსმენელს სოფელ ოზაანის ისტორიის შესახებ. სოფლის დაარსებიდან და სახელების წარმომავლობიდან დაწყებული დღევანდელობით დამთავრებული ნაშრომში საუბარია ყველა იმ მნიშვნელოვან მოვლენასა თუ პიროვნებებზე, ისტორიულ ადგილსა თუ ეკლესიებზე, რომელიც ასე მრავლად არის ამ პატარა სოფლის ისტორიაში, რომელიც ერთ დროს ძალიან დიდი ყოფილა. ლეგენდები, თქმულებები, არქეოლოგიური გათხრები თუ დოკუმენტალური მასალები ერთობლიობაში საინტერესოდ ჰკრავენ სოფლის არსებობის გრძელ გზას. ვინმე ოზას მიერ სოფლის დაარსება, თამარ მეფის ორგზის სტუმრობა, მისი მანდილის სასწაულები და ხატმწერი მიქაელის მრავალტანჯული სიცოცხლის დასრულება მცირე ალავერდის ტაძართან მირზაანში თამარ მეფის გარდაცვალების დღეს, შვიდი საუკუნის შემდეგ ფიროსმანის ამობრწყინება, მწყემსი მელექსე მოსე ქურხულიშვილის გულიდან ამოხეთქილი, ჩონგურზე დამღერებული მართალი სიტყვა, თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი მწერლის ჯემალ მეხრიშვილის შემოქმედება, ხეში კვეთის ახალგაზრდა ოსტატის აბო მეხრიშვილის ნაჩუქურთმევი და სხვა მრავალი რამ, რაც ამ ნაშრომში არის წარმოდგენილი, თითოეული ადამიანისათვის ეროვნული სიმის შერხევა და ამოძახილია. ცალკე შეიძლება განვიხილოთ ოზაანის ტერიტორიაზე არსებული ტაძრები, რომელთა შესახებ ისტორიული დოკუმენტები ვრცლად აქვს მოყვანილი ავტორს. სამების ტაძარი, ყველაწმინდა, წმინდა სტეფანე, ამაღლების ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძარი და სხვა ისტორიული ნაშთები მიანიშნებს სოფლის ხანგრძლივ არსებობაზე. ვახუშტი ბატონიშვილის, პროფესორების ანტონ ნატროშვილის, ლევან ჭილაშვილის, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ლევარდი ტუხაშვილის ნაშრომებზე დაყრდნობით ლალი ბასილაშვილი ბევრ საინტერესო ფაქტს და მოვლენას აჟღერებს. ავტორს არც კოლექტივიზაციის და მეორე მსოფლიო ომის ტრაგიზმით აღსავსე ისტორიები დაუტოვებია უყურადღებოდ და ამაღელვებელად გადმოსცემს 73 წლის შემდეგ ვოლგოგრადის ოლქის ხუტორ ბუერაკ-პოპოვსკიდან სამამულო ომში უგზო-უკლოდ დაკარგული ოზაანელი 20 წლის ჭაბუკად დარჩენილი დავით ჩალახეშაშვილის 2015 წლის 24 ივლისს მშობლიურ მიწაზე გადმოსვენების შესახებ. აქვე გაეცნობით ოზაანში მცხოვრებ ადამიანთა საკუთარი სახელებიდან, გვარებიდან და თიკუნებიდან წარმოებულ ტოპონიმებს და სხვა.

საინტერესო იყო მუზეუმის სპეციალისტის დალი ბაღაშვილის მიერ წარმოდგენილი თემა, „ფშაველნი და მთიულთა ტრადიციული საკულტო ძეგლები“, სადაც ავტორი მოგვითხრობს მეოცე საუკუნის დასაწყისში ვაჟა-ფშაველას მიერ ქედების ზონაში ჩამოსახლებულ მთიელთა მთაში არსებულ სალოცავებსა და ბარში ჩამოყოლილ ტრადიციებსა და სალოცავების ანალოგიებზე ზემო და ქვემო ქედსა და არხილოსკალოში, სადაც რამდენიმე ათეული საჯვარხატო ნაგებობა არსებობს.

ქედების მოსახლეობა არც ბარში არსებულ ანალოგებს ტოვებს უყურადღებოდ და მთაშიც ხშირად მიეახლება ხოლმე საზოგადო თუ საგვარეულო ჯვარ-ხატებს. ამ თემის გაცნობისას ისეთი შეგრძნება გაქვს, თითქოს შენც მათთან ერთად მოგზაურობ და მოწიწება გიპყრობს სიწმინდეების მიმართ.

მუზეუმის სპეციალისტმა ნინო პოპიაშვილმა ქართული ვაზის ისტორია წარმოადგინა: სოფლის მეურნეობის სხვა დარგებისგან მევენახეობა იმით განსხვავდება, რომ მის საგანს და მთელ საზრუნავს ერთადერთი მცენარე- ვაზი შეადგენს. მას დიდი მოვლა და რუდუნებით ლოლიავი სჭირდება, რომ არ გაველურდეს. მიუხედავად ისტორიული კატაკლიზმებისა, შემოსევებისა და განადგურებისა, ქართველებმა, გამორჩეულად კი კახელებმა, საუკუნეები გამოატარეს ვენახისა და ღვინის სიყვარულს.

/გაგრძელება. გვ.7/

ანტიკრიზისული გეგმა - ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე

ახალი სახელმწიფო პროგრამა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება

ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, აგროდიზელის ფასდაკლების ბარათების 20 მაისიდან ეტაპობრივად გაცემა დაიწყო. სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, ფერმერებისთვის გათვალისწინებული დახმარების პროგრამების განხორციელება 20 მაისიდან დაიწყო.

20 მაისიდან, „აგროდიზელით ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში, ფასდაკლების ბარათები ფერმერებისთვის ეტაპობრივად გაიცემა როგორც იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში (საიტზე my.gov.ge ვიზიტის წინასწარი დაჯავშნის პრინციპით), ასევე სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს რეგიონული სამსახურებსა და მუნიციპალიტეტებში არსებულ საინფორმაციო-საკონსულტაცია ცენტრებში; 27 მაისიდან ფასდაკლების ბარათებს გასცემს ლიბერთი ბანკის ფილიალებიც.

პირველ ეტაპზე, 20 მაისიდან ფასდაკლების ბარათები გაიცემა ფიზიკურ პირებზე, ხოლო 1 ივნისიდან მიწის თანამესაკუთრეებსა და იურიდიულ პირებზე. ბარათების გაცემა მოხდება პროგრამის ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, ხოლო თანამესაკუთრეების შემთხვევაში, დამატებით შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე.

პროგრამა ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო საქონლისა და ხვნის მომსახურების ღირებულების სუბსიდირებას. პროგრამით გათვალისწინებული სუბსიდიის მისაღებად საჭიროა, ფიზიკურ და იურიდიული პირებს საკუთრებაში ჰქონდეთ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. სუბსიდიის მოცულობა 1 ჰექტარ მიწაზე განისაზღვრა 200 ლარით (აგრობარათზე დარიცხული 200 ქულით).

0.25 ჰა-დან 1.25 ჰა-მდე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შესაძლებლობა ექნება ბარათზე დარიცხული ქულები გამოიყენოს შემდეგი სასოფლო-სამეურნეო საქონლის შესაძენად:

სასუქები და მცენარეთა დაცვის ქიმიური/ბიოლოგიური საშუალებები

მცენარეთა მოვლის ქიმიური/ბიოლოგიური საშუალებები

სათესლე და სარგავი მასალები.

1.25 ჰა-დან 10 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს ბარათზე დარიცხული ქულების გამოყენების შესაძლებლობა ექნებათ როგორც ზემოაღნიშნული სასოფლო-სამეურნეო საქონლის, ასევე, სასოფლო-სამეურნეო მიწის აგროტექნიკური (ხვნის) სამუშაოების მომსახურების შესაძენად. პროგრამით ისარგებლებს 200,000-მდე ფერმერი.

პროგრამის ბიუჯეტი 37 000 000 ლარია და პროგრამის განხორციელება დაიწყება 2020 წლის 20 მაისიდან.

პროგრამით სარგებლობის პირობები

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ, ჯამურად, არანაკლებ 0.25 ჰა და არაუმეტეს 10 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (გარდა სათიბ-საძოვრის კატეგორიის) რეგისტრირებული მიწის მესაკუთრეებს და პირებს, რომელთაც თანამესაკუთრებაში გააჩნიათ ერთი საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არანაკლებ 0.25 ჰა და არაუმეტეს 10 ჰა მიწის ნაკვეთი (გარდა სათიბ-საძოვრის კატეგორიისა).

სუბსიდირება შეადგენს 1 ჰა-ზე 200 ლარს (ბართზე დარიცხულ 200 ქულას), 10 ჰა-ზე 2,000 ლარს.

თუ ბენეფიციარს საკუთრებაში ჯამურად გააჩნია არანაკლებ 0.25 ჰა და არაუმეტეს 10 ჰა მიწის ნაკვეთ(ებ)ი, სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრება 200 ლარით - შესაბამისად, ბარათზე დარიცხული 200 ქულით 1ჰა მიწის ნაკვეთზე პროპორციული გადაანგარიშებით, ან/და თუ ბენეფიციარს თანასაკუთრებაში გააჩნია ერთი საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არანაკლებ 0.25 ჰა და არაუმეტეს 10 ჰა მიწის ნაკვეთ(ებ)ი, სუბსიდიის მუცულობა განისაზღვრება თითოეულ თანასაკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე 200 ლარით - შესაბამისად, ბარათზე დარიცხული 200 ქულით 1ჰა მიწის ნაკვეთზე პროპორციული გადაანგარიშებით.

პროგრამით სარგებლობის ინსტრუქცია

ფერმერებს, რომლებსაც მინა რეგისტირებული აქვთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ლიბერთი ბანკის პლასტიკურ ბარათებზე დაერიცხებათ ქულები, 1 ჰა- 200 ლარი, 0.25 ჰა- 50 ლარი, რომლითაც მივლენ სპეციალიზირებულ მაღაზიებში და შესძლებენ შეისყიდონ სასოფლო სამეურნეო საქონელი, 1 ქულა = 1 ლარს.

ბარათის ასაღებად ფერმერმა უნდა მიმართოს 20 მაისიდან სს „ლიბერთი ბანკის“ ნებისმიერ ფილიალს. სს „ლიბერთი ბანკი“ ფერმერს უსასყიდლოდ დაუმზადებს და გადასცემს ბარათს. დარიცხული ქულების რაოდენობის გადამოწმება ფერმერს/ბენეფიციარს შეეძლება ლიბერთი ბანკის ცხელ ხაზზე (2555500) ან ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე პირადი საიდენტიფიკაციო მონაცემების შეყვანით. ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება 20 მაისიდან, ეტაპობრივად www.myliberty.ge

ბარათზე დარიცხული ქულებით 0.25 ჰა და 1.25-მდე მიწის ფართობის მფლობელებს/თანამესაკუთრეებს სპეციალიზირებულ მაღაზიებში შეეძლებათ შეისყიდონ სასუქები, მცენარეთა დაცვის ქიმიური/ბიოლოგიური საშუალებები, სათესლე და სარგავი მასალები.

1.25-დან 10 ჰა მიწის ნაკვეთის მფლობელები/თანამესაკუთრეები დამატებით შეძლებენ ხვნის მომსახურების მიღებას. ხვის მომსახურების მიღება შესაძლებელია მხოლოდ შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების“ კომპანიის” (ყოფილი შპს „მექანიზატორი“) სერვისცენტრებში, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს ყველა რეგიონში (ჯამში 12). ხვნის საფასური შეადგენს 1 ჰა-ზე 150 ლარს (150 ქულა).

აგრობარათებზე დარიცხული ქულების გამოყენების ბოლო ვადაა 2021 წლის 20 მაისი.

აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამა

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 0,25-დან 100 ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთის მფლობელი ფიზიკური და იურიდიული პირები, ახალი სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, დიზელის საწვავს შეღავათიან ფასად იყიდიან.

პროექტის ფარგლებში, საწვავის ლიმიტი 1 ჰექტარზე 150 ლიტრის ოდენობით განისაზღვრა. პროგრამის ბენეფიციარები აგროტექნიკური სამუშაოებისთვის საჭირო დიზელის საწვავს, ბაზარზე არსებულთან შედარებით, მნიშვნელოვნად დაბალ ფასად იყიდიან.

პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდას, რაც, თავის მხრივ, სასურსათო უზრუნველყოფასა და პროდუქციის თვითღირებულებაზე დადებითად აისახება.

200,000-ზე მეტი ფერმერი შეძლებს ისარგებლოს აღნიშნული პროგრამით

პროგრამით სარგებლობის პირობები

პროგრამაში მონაწილეობის მიღებას და დიზელის შეღავათიან ფასად მიღებას შეძლებენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მფლობელი ის ფიზიკური და იურიდიულ პირები, რომელთაც გააჩნიათ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრებად რეგისტრირებული არანაკლებ 0.25 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, გარდა საძოვარისა, ან პირები, რომლებიც მოახდენენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირველად რეგისტრაციას და დაზუსტებას. პროგრამით მოსარგებლე ფერმერებისთვის გათვალიწინებულია ერთ ჰექტარზე 150 ლიტრის, ხოლო 100 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, არაუმეტეს, 15 000 ლიტრის ოდენობით საწვავის ფასდაკლების ბარათების გადაცემა.

პროგრამით სარგებლობის ინსტრუქცია

2020 წლის მაისის მეორე ნახევრიდან, ეტაპობრივად დარიგდება ფასდაკლების ბარათები და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მიმდინარე წლის ბოლომდე. იურიდიული პირები ფასდაკლების ბარათის მიღებას შეძლებენ 1 ივნისიდან.

აგროდიზელის ფასდაკლების ბარათის მისაღებად უნდა გამოცხადნენ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები და თან უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. სხვა პირის გამოცხადების შემთხვევაში, პირს თან უნდა ჰქონდეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა

პროგრამაში ჩართულ ფერმერებს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საგენტოს რეგიონულ სამსახურებში, იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში დაურიგდებათ ავტოგასამართი კომპანიის („სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი”) ფასდაკლების ბარათები. აღნიშნული ბარათებით, პროგრამით მოსარგებლე ფერმერებს, შესაძლებლობა ექნებათ, დიზელის საწვავი, მიმდინარე წლის განმავლობაში, დიზელის ბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებში ფიქსირებულ ფასზე, დაახლოებით, 1 ლარით ნაკლებ ფასად შეიძინონ. საწვავის შეძენა შესაძლებელი იქნება „სოკარ პეტროლეუმ-ჯორჯიას” საგითუმო გაზეგიდან და ავტოგასამართი სადგურებიდან.

1 ივლისამდე ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ, გაანაღდონ მხოლოდ 50 ლიტრის, 1 ივლისიდან 1 სექტემბრამდე 300 ლიტრის ოდენობის საწვავის ფასდაკლების ბარათები. 1 სექტემბრიდან შესაძლებელია ნებისმიერი ოდენობის საწვავის ფასდაკლების ბარათების განაღდება.

სუბსიდირება შეადგენს 1 ჰა-ზე გაანგარიშებით 150 ლიტრი დიზელის შეღავათიან ფასად შეძენას; 10 ჰა-ზე 1500 ლიტრის შეღავათიან ფასად შეძენას; ამგვარი დაანგარიშებით 100 ჰა-ს ჩათვლით.

100 ჰა და მეტი მიწის ფართობის მესაკუთრეები/თანამესაკუთრეები შეღავათიან ფასად შეიძენენ არაუმეტეს 15000 ლიტრ დიზელს.

1 ივლისამდე ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ გაანაღდონ მხოლოდ 50 ლიტრის ოდენობის საწვავის შეძენა, 1 ივლისიდან 1 სეტემბრამდე - არაუმეტეს 300 ლიტრის, 1 სექტემბრიდან კი, შესაძლებელია ნებისმიერი ოდენობის საწვავის ფასდაკლების ბარათის განაღდება.

სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის „ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე“ სტრატეგიული მიმართულებების ხელშეწყობის პროგრამებში რეგისტრაცია მიმდინარეობს, დეტალური ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე arda.gov.ge.

დისტანციური დამშვიდობება სკოლასთან

წლევანდელმა, უჩვეულო დისტანციურმა ბოლო ზარმა ყველას დაგვანახა, რომ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ვგეგმავთ, თუმცა, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი სირთულე დაძლევადია და მთავარი არა ღონისძიების მასშტაბურობა, არამედ მისი შინაარსი და დატვირთვაა. დიახ, სწორედ ამ განსხვავებული ბოლო ზარის შესახებ დღეს ჩვენს მეთორმეტეკლასელებთან ერთად მათი პედაგოგები, კლასის დამრიგებლები მოგვიყვებიან და გადმოგვცემენ მათ ემოციებს ამ დღესთან დაკავშირებით.

პირველი საჯარო სკოლა

ეთერ ზურიკაშვილი, **საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი:**: „დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრი ულოცავს ჩვენს საყვარელ მე-12კლასელებს ამ მნიშვნელოვან, განსხვავებულ და უცნაურად დასრულებულ სასწავლო წელს.ბავშვებო! თქვენ უკვე ჩააბარეთ ცხოვრების დიდი გამოცდა, მიუხედავად სიძნელეებისა, თქვენ შეძელით და გაუმკლავდით დისტანციურ სწავლებას, წარმატებით დაამთავრეთ სკოლა.აქ კი დიდი წვლილი მიუძღვის სკოლების ადმინისტრაციას, მასწავლებლებს. მადლობა მათ დაუღალავი შრომისთვის. ვიცი,რომ ოცნებობდით ბოლო ზარის დღეზე, მაგრამ გული არ დაგწყდეთ, ცხოვრება წინა გაქვთ, თქვენ საქართველოს მომავალი ხართ, წარმატება თქვენს ხელშია. იცოდეთ,რომ ცოდნა კი წარმატების გასაღებია. დეოფლისწყაროს 187-ვე კურსდამთავრებულს გისურვებთ თქვენი მიზნებისა და ოცნებების ასრულებას. გვიყვარხართ და გვეიმედებით. უფალი იყოს თქვენი მფარველი.“

ნათია პოპიაშვილი, **მეორე საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე:** „ჩემო საყვარელო მეთორმეტე კლასელებო, გილოცავთ სკოლის დამთავრებას,ძალინ სამწუხაროა, რომ სკოლიდან ვერ გაცილებთ, მაგრამ თქვენ ისეთი საუკეთესოები და გამორჩეულები იყავით, რომ

სკოლასაც განსხვავებულ ფორმაში ამთავრებთ. ძალიან თბილები, მეგობრულები, კრეატიულები, საუკეთესოთა შორის საუკეთესო კლასი, ალბათ სიტყვები არ მეყოფა თქვენს დასახაიათებლად, თქვენ მეორე საჯარო სკოლის სიამაყე და დასაყრდენები იყავით, თქვენთან ჩატარებული თითოეული გაკვეთილი დიდი სიამოვნება იყო, ამაში თქვენთან შემომსვლელი ყველა მასწავლებელი დამეთანხმება.კიდევ ერთხელ გილოცავთ, ჩემო კარგებო, წარმატებები იყოს თქვენი ცხოვრების თანმდევი ცხოვრების რთულ გზაზე. მე მჯერა, რომ თქვენით ბევრჯერ იამაყებს მეორე საჯარო სკოლა, მუდამ გახსოვდეთ რომ თქვენი წარმატებების საიდუმლო თქვენსავე ხელშია.“ .

ლალი იაკობიშვილი, **ქ. დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის დირექტორი:** ჩემო ძვირფასო მეთორმეტე კლასელებო, გილოცავთ სკოლის დამთავრებას. ვიცი, ეს დღე სხვანაირად, გრანდიოზულად წარმოგედგინათ. ვისურვებდი, ამაზე დიდი იმედგაცრუება არ გამოგეცადოთ ცხოვრების რთულ გზაზე. ისწავლეთ, იშრომეთ, იპოვეთ თქვენი თავი და საქმე, რომელიც გაგაბედნიერებთ. რის შედეგადაც არა მარტო თქვენ თავს, არამედ თქვენს საყვარელ ადამიანებს, თქვენს გარშემომყოფებს და ზოგადად, ქვეყანას გამოადგებით!

ლალი ინაშვილი, **მეორე სკოლის მეთორმეტე კლასის დამრიგებელი:** „ბავშვებო, რომ არა მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობა, დღეს თქვენთვის სკოლაში დაირეკებოდა ბოლო ზარი, რომელზეც ასე ოცნებობდით, მაგრამ ჯანმრთელობა უმნიშვნელოვანესია. მაინც დავემშვიდობეთ ერთმანეთს და ზარიც დავრეკეთ დისტანციურად. მე ვამაყობ, რომ ვარ თქვენი კლასის დამრიგებელი, რომ გასწავლიდით ქართულ ენა– ლიტერატურას და რომ კლასში მყავს 8 მედლის კანდიდატი. უამრავი კარგი მოგონება მაკავშირებს თქვენთან. საუკეთესოები ხართ, ბავშვებო და თქვენს ჰარმონიულ, სრულყოფილ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში კი მშობლებთან ერთად, სკოლასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენს სკოლაში თქვენთვის შექმნილი იყო კეთილგანწყობილი, უსაფრთხო გარემო, სადაც თქვენ ავლენდით საკუთარ შესაძლებლობებსა და ნიჭს, თქვენ მე–2 საჯარო სკოლის სული და გული ხართ, ყველა ახალი წამოწყების, უამრავი სასკოლო ღონისძიების, პროექტების სულის ჩამდგმელნი. მჯერა, ასე გააგრძელებთ მომავალშიც. ყველაფერს საუკეთესოს გისურვებთ, პირველ რიგში, ზნემაღალ ადამიანებად ჩამოყალიბებას, შემდეგ კი100%–იან გრანტებს, წარმატებებსა და სულ მაღლა– მაღლა ფრენას. მალე შევხვდებით სულ სხვა ვითარებაში, აი, მაშინ კი ჩაგეხუტებით, მიყვარხართ!“

მარიამ სეხნიაშვილი, **მეორე საჯარო სკოლის კურსდამთავრებული**: „ძალიან რთულ ვითარებაში მოგვიწია სკოლის დამთავრება. კორონავირუსმა შეცვალა ჩვენი გეგმები, გაანადგურა ოცნებები. ვფიქრობდით, საუკეთესო, განსაკუთრებულ ბოლო ზარზე და მართლაც ძალიან განსხვავებული გამოგვივიდა. ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ ვაცნობიერებ, რომ სკოლა დავამთავრე, მიჭირს იმასთან შეგუება, რომ სექტემბერში სკოლაში ვეღარ მივალ. მთავარი მიზეზი, რადგანაც მიჭირს სკოლასთან განშორება, არის ჩემი კლასი. ყოველთვის ვიამაყებ, რომ სკოლის საუკეთესო წლები გავატარე ამ ადამიანებთან. ისინი არიან ჩემი მთავარი მოტივაციის მიზეზები, ამას განსაკუთრებით ბოლო ორ თვეში მივხვდი და მეტად დავაფასე. თითოეულ მასწავლებელს, ჩვენს დირექციას, ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო, რადგან ამ საოცარმა ადამიანებმა ჩამოგვაყალიბეს ნამდვილ პიროვნებებად, სრულფასოვან მოქალაქეებად. მათ გაგვიზიარეს საკუთარი გამოცდილება და გადმოგვცეს ცოდნა. ყოველი გაკვეთილი ტკბილად გაგვახსნედება. ამასთან, ყველა მეთორმეტე კლასელს ვულოცავ სკოლის დამთავრებას. არ უნდა დავკარგოთ იმედი, ამ რთული მდგომარეობის მიუხედავად, რადგან ჩვენ ყველაფერს შევძლებთ, ყველა სირთულეს გადავლახავთ. მჯერა, რომ თითოეული ჩვენგანი ღირსეული პიროვნება და საკუთარი საქმის პროფესიონალი იქნება. ახლა ჩვენ უფრო ძლიერები ვართ. ყველაფერი კარგად იქნება და მალე წარმატებული სტუდენტები გავხდებით!“

ნინო მეხრიშვილი, **მეორე საჯარო სკოლის კურსდამთავრებული:** „მე გახლავართ **ნინო მეხრიშვილი.** 2020 წელს დავასრულე სწავლა ქ.დედოფლისწყაროს II საჯარო სკოლაში. ვამბობ სიტყვას ,,დავამთავრე" და თვითონვე მიჭირს ამის დაჯერება... თითქოს გუშინ იყო, რომ შევაბიჯე სკოლის ეზოში. მაშინ არ ვიცოდი რა გზის გავლა მომიწევდა ამ თორმეტი წლის მანძილზე. პირველი ზარის ხმა რაღაც მოულოდნელი და ცოტა დამაბნეველიც კი იყო ჩემთვის, თუმცა შემდეგ ეს ხმა გახდა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. მიხაროდა ყოველი გაკვეთილის დაწყება-დასრულება. დაწყება იმიტომ, რომ ერთი სული მქონდა მასწავლებლისთვის გაკვეთილი ჩამებარებინა, დასრულების მიზეზიც ზუსტად იგივე იყო-მომდევნო გაკვეთილის დაწყების სიხარული...ბევრი მოგონებაა, რომლის გახსენებაც განსაკუთრებულად განმაწყობს სკოლის, თანაკლასელებისა თუ პედაგოგების მიმართ. თითოეულმა მასწავლებელმა ძალიან ბევრი შრომა ჩადო ჩვენში და მე მჯერა, რომ ყოველი მათგანის თავდადება გამოიღებს უტკბილეს ნაყოფს. ვფიქრობ, სკოლის დამთავრება დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყისის ძირითადი ეტაპია. გვემატება პასუხისმგებლობა, გვმართებს მეტი სერიოზულობა და ა.შ... მჯერა, ეს გზა, უამრავ გამოცდასა და თავგადასავალს მოგვიმზადებს. ჩემი აზრით, თითოეული ჩვენგანის განათლება, გონიერება, შრომა, ყველაზე ბასრი იარაღია საბრძოლველად. ჩვენს ქვეყანას ახლა ყველაზე მეტად ესაჭიროება წიგნიერი ახალგაზრდები. ფაქტობრივად, უნდა ითქვას, რომ მომავალი ჩვენ გვეკუთვნის და შეცდომის დაშვების უფლებაც არ გვაქვს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ უზომოდ მწყდება გული, რომ კვლავაც მოვა სექტემბერი, კვლავაც დაიწყება სწავლა, მაგრამ ჩვენი გზა სკოლაში აღარ მივა ჩვენს საყვარელ კლასელებთან თუ მასწავლებლებთან... თავს იმით ვიმხნევებ, რომ ეს ბუნების კანონია... ჩვენი წინ უნდა წავიდეთ, არ

უნდა დავრჩეთ განვითარების ერთ დონეზე, სწორედ ამისთვის არსებობს უნივერსიტეტები თუ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები... სამწუხაროდ, მიმდინარე მოვლენების გამო, წლების უკან დაწყებული მზადება ბოლო ზარისა და ბანკეტისათვის წარსულს ჩაბარდა... უნდა ითქვას, რომ პანდემიამ ჩვენთვის მოიცალა, რაზეც ძალიან გვწყდება გული, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანია, შედეგიანად გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან... მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ყველას, განურჩევლად სქესისა, რასისა, ეროვნებისა თუ სარწმუნოებისა, ვინც წელს დაამთავრა სკოლა, მივულოცო და ულევი წარმატება ვუსურვო. ახლა, ჩვენი ვალია, მოვემზადოთ დიდი ცხოვრების ბედნიერებისა და სიხარულისთვის, რასაც მომავალი გვიმზადებს!“

ნინო ცისკარაული, **მეორე საჯარო სკოლის კურსდამთავრებული:** „სკოლაში გატარებული 12 შეუდარებელი წლის დასასრულს წლების განმავლობაში ველოდებოდი. გრანდიოზული ბოლო ზარით უნდა დაგვეხურა სკოლაში გატარებული წლები, მაგრამ პანდემიამ ყველაფერი უკუღმა დაატრიალა. დღეს მასწავლებლებისგან, მეგობრებისა თუ ახლობლებისგან სკოლის დამთავრების მილოცვას ონლაინ რეჟიმში ვიღებთ. როგორც უკვე სკოლადამთავრებული , ვამბობ, რომ პანდემიამ კიდევ უფრო მეტად დაგვაფასებინა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობა.დღეს ცრემლების გარეშე ვერ ვიხსენებ სკოლაში გატარებულ ბედნიერ დღეებს და ეს ძალიან მახარებს. ახლა ვხვდები რამხელა წვლილი აქვს სკოლას, ჩემს დღევანდელ პიროვნებად ჩამოყალიბებაში. მადლობა ჩემს საამაყო მეორე სკოლას სიგიჟითა და სიხარულით სავსე წლებისთვის. დღეს გაავანალიზე, რომ მართლა ძალიან მომენატრებით და პანდემიის შეზღუდვების გამო უკვე მენატრებით. მე ვფიქრობ, რომ საუკეთესო სკოლა დავამთავრე, სკოლა, რომელმაც პირველ რიგში ადამიანობა და მეგობრობა მასწავლა. მიყვარს ჩემი სკოლა და მასწავლებლები. და მინდა მივმართო თითოეულ მასწავლებელს,რომ მომენატრებით ძალიან...“

ნანა პოპიაშვილი, **პირველი სკოლის მეთორმეტე კლასის დამრიგებელი:** - „პირველ რიგში მინდა ჩემს მეთორმეტე კლასელებსა და სრულიად საქართველოს კურსდამთავრებულებს მივულოცო ბავშვობის, ლამაზი წლების დასასრული და კიდევ უფრო ლამაზი და სახალისო, ნათელი გზის დასაწყისი. მე და ჩემი ბავშვები 8 წლის განმავლობაში სხვანაირი ემოციებით ველოდით ბოლო ზარს, წარმოგვედგინა ცაში ფრენა და ჟღურტული, მაგრამ... ეს არის ის პირველი მცირედი გაუმართლებლობა, რომელიც მათ შეხვდა ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე და ერთგვარი გამოცდაც, ამიტომ უნდა იყვნენ მტკიცედ, მხნედ, მზად ყველა იმ დაბრკოლების გადასალახად. მე, როგორც მათემატიკის მასწავლებელი, ვუსურვებ, რომ ისინი არ იყვნენ წრის ცენტრები, რომლებიც წრეწირით არიან შემოსაზღვრულნი, ვუსურვებ, იყვნენ მიზანდასახული ვექტორები მიმართული დადებითი უსასრულობისკენ, მათი ოცნებები იზრდებოდეს არითმეტიკული პროგრესიით და სრულდებოდეს გეომეტრიული პროგრესიით. ვუსურვებ, ყველას პირამიდის წვეროში ასვლას, ბედნიერ აბიტურიენტობასა და სასურველი ფაკულტეტის სტუდენტობას.“

ანა ოგანესიანი, პირველი საჯარო სკოლის კურსდამთავრებული; „მოკლედ, ყველას ძალიან გვინდოდა ბოლო ზარი. მთელი წელი ვემზადებოდით და აღმოვაჩინეთ რომ შეგვიძლია ვიყოთ ერთ მუშტად შეკრული კლასი, თითქოს ერთმანეთის მიმართ გაგვიჩნდა უფრო მეტი სიყვარული და პატივისცემა. რა თქმა უნდა, ძალიან იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ შეიძლება დადებითი მხარეც დავინახოთ ამ ყველაფერში. ვფიქრობდი და გავაანალიზე რომ ძალიან ამაყი ვარ. ასეთი ორიგინალური ბოლო ზარი არავის ჰქონია. ხალხს ყოველთვის ემახსოვრება, რომ ჩვენ „ის კლასი" ვართ, ბოლო ზარი რომ არ უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ჰქონდათ. ჩვენ ის კლასი ვართ, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რათა განწყობა არ გაფუჭებოდა და ბოლომდე იბრძოლა არშემდგარი ბოლო ზარის გამოსასწორებლად. ყველა მე-12 კლასელს ვულოცავ სკოლის დამთავრებას, ვუსურვებ წინსვლას და უსაზღვრო წარმატებას.“

ანი კოკილაშვილი, **პირველი საჯარო სკოლის კურსდამთავრებული:** „დიდი სიხარულით ველოდებოდი ბავშვური ცხოვრების დასრულების ეტაპს და ერთ-ერთ ულამაზეს დღეს ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ამ მსოფლიო პანდემიამ ეს მოლოდინი დამინგრია, თუმცა მჯერა ყველაფერი გადაივლის და ახალი წარმატებებით გავიკვლევ გზას. ვულოცავ ყველა მე-12 კლასელს და წარმატებებს ვუსურვებ.“

ელზა ხარაშვილი

დისტანციური დამშვიდოგება სკოლასთან

ნანა ჭილიტაშვილი, **სამრეკლოს საჯარო სკოლის დირექტორი:** „ცხოვრება რომ ისე არ არის მოწყობილი, როგორც ჩვენ გვინდა, ეს დღევანდელმა დღემაც ნათლად დაგვანახა, დაგვრჩა ოცნებად ,,ბოლო ზარი“. ვერ გაცილებთ ისე, როგორც თქვენ შეგეფერებათ. მინდა, მოგილოცოთ სკოლის დამთავრება, ჩემო ძვირფასებო, მოგეფეროთ, გაგაყოლოთ დიდი სითბო, სიკეთე, სიყვარული. გზა დაგილოცოთ ოცდამეერთე საუკუნის მომავალს. დღეს ემოციები ჭარბობს, არ მოგვეცა ერთმანეთის მოფერების, მოგონებების გახსენების საშუალება (ესეც თქვენს ჯანმრთელობაზე ზრუნვის გამო),წინ დიდი და საინტერესო ცხოვრება გელოდებათ და მე მჯერა, რომ ყველა თქვენგანი დაიკავებს საზოგადოებაში იმ ადგილს, რომლის არჩევაშიც 12 წელი სკოლის პედაგოგები, მშობლები, სოფლის თემი ზრუნავდა. თქვენ ჩვენი დიდი იმედი, ჩვენი ქვეყნის მომავალი ხართ. გზა დამილოცია, ჩემო ძვირფასებო. ზურგის ქარს გისურვებთ. არ დაგევიწყებინოთ, ვისი გორისა ხართ. მიყვარხართ, მეამაყებით, მეიმედებით!

მარიამ ტოხიშვილი, **ქვემო ქედის საჯარო სკოლა:** მივდივართ, დღეს მოსწავლეობის რანგში ბოლო დღეს ვატარებთ...გვაპატიეთ, თუ მშობლიური სკოლის კედლებში ,,ბოლო ზარით“ ვერ განებივრებთ! გვაპატიეთ, თუ ჩვენგან დამოუკიდებელი, ყველასთვის ცნობილი მიზეზების გამო ცოცხლად ვერ გამოვხატავთ ჩვენს ემოციებს! გვაპატიეთ, თუ ჯერ ბოლომდე ვერ გავაცნობიერეთ, რა ხდება ჩვენს თავს, რა უცებ გაირბინა 12-მა წელმა, რამხელა ცვლილებები მოხდება ამ დღის შემდეგ ჩვენს ცხოვრებაში, როგორ გავიზარდეთ, ან თუნდაც, როგორ მოგვენატრება სკოლის კედლებში ჩარჩენილი უდარდელი და ტკბილი ბავშვობა!.. მოგვენატრებით...არა, ნუ გიკვირთ, მართლა ძალიან მოგვენატრებით! შეიძლება ამ წამს ვერ ვხვდებით, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გაანალიზების უნარიც ემოციებმა დათრგუნა! თორემ როგორ არ მოგვენატრება ადგილი, ადამიანები და სიტუაცია, რამაც მთლიანობაში უამრავი ტკბილი მოგონება გვისახსოვრა, რომელიც მთელი დარჩენილი სიცოცხლე გაგვყვება! ეს ის ადგილია, სადაც ყოველდღე ვსწავლობდით რაღაც ახალს, ვმაიმუნობდით, ვიცინოდით და ზოგჯერ ვაბრაზებდით კიდეც მასწავლებლებს... ხშირად ვიყავით ყველაზე ,,დაცენტრილებიც“ და სკოლის საუკეთესო კლასიც(ბევრი გაგებით)! იმ კედლებს ბევრი რამ ახსოვთ ჩვენი და ჩვენც ბევრი გაგვახსენდება წლების შემდეგ მათი : როგორი ხალისით მიგვიყვანეს მშობლებმა 2008 წელს, ომის შემდეგ, სკოლაში, როგორი ენთუზიაზმით დახვდა იულია მასწავლებელი მის ბოლო აღსაზრდელებს, როგორ დაგვირეკა პირველი ზარი, როგორ დაიწყო პირველი გაკვეთილი და როგორ შევდგით ფეხი სრულიად ახალ სამყაროში... შემდეგ კი ესმა მასწავლებელმა როგორ დაგვანახა,რომ მისი სახით სკოლაში არა მხოლოდ მასწავლებელი, არამედ დედაც გვყავდა! როგორ ვუყვარდით და როგორ გვიყვარს დღემდე! მეხუთე კლასში როგორ გვეგონა, რომ უკვე დიდები ვიყავით და როგორ დაგვაყენა სწორ გზაზე მაია მასწავლებელმა, როგორი მზრუნველი და თავდადებული იყო ჩვენთვის მთელი 8 წელი, როგორ გვედგა სულ გვერდში და გვეიმედებოდა! არ გასულა არც ერთი დასვენება მთელი ამ წლების მანძილზე, რომლის დროსაც მაია მასწავლებელს კლასის კარი არ შემოულია და არ უთქვამს: ,, აბა რას შვრებით, ბავშვებო?“ და ბოლოს, როგორ დავამთავრეთ სკოლა ონლაინ! ,,სიმართლე სინათლეაო“ და სამასწავლებლოს გვერდით კლასში როცა ვსწავლობდით, სკოლას თავზე ვიმხობდით(პირდაპირი გაგებითაც), არ გავიდოდა არც ერთი დასვენება, რომ რომელიმე მასწავლებელი არ შემოსულიყო და ხმაურის გამო არ ესაყვედურა...ნუ მოკლედ, არც ჩვენ ვყოფილვართ ანგელოზები, თუმცა არც ცუდები ვიყავით(ალბათ დაგვეთანხმებით)! შეიძლება არ ვიყავით ბევრი რამით გამორჩეულები, არც რაოდენობით, არც სიდინჯით, თუმცა ყველა დამეთანხმება, რომ ჩვენ ვიქნებით ქვემო ქედის საჯარო სკოლის ისტორიაში ყველაზე დასამახსოვრებელი კლასი!(ასე სკოლა აქამდე არავის დაუმთავრებია). დღეს ჩვენთვის ბოლო ზარი უნდა დარეკილიყო, ყველას სახელით გეტყვით იმ სიტყვებს , რაც სათქმელი დაგვრჩა ამ სიტუაციის გამო! უდიდესი მადლობა თითოეულ მასწავლებელს ჩვენი ,,ატანისა და გატანისთვის“! იმ დარიგებებისთვის ,რომელსაც ხშირ შემთხვევაში არ ვუსმენდით და მერე ვნანობდით! მადლობა ჩვენთვის გაწეული შრომისთვის! მადლობა რომ თქვენგან გაკვეთილების გარდა ადამიანობა, სიყვარული და მეგობრობაც ვისწავლეთ! დაე, ამ ცხოვრების უსწორმასწორო გზას თქვენგან მიღებული ცოდნა ლამპარივით გვინათებდეს და გვიფერადებდეს მომავალს! ჩვენ კი თქვენი ამაგი კარგი ადამიანობით დაგვეფასებინოს!..

გემშვიდობებით, გტოვებთ, მიდივართ,
გზა დაგვილოცეთ - ჩვენ წილ საჯილ!
ჩვენგან გსმენოდეთ მთელი ცხოვრება
წარმატება და წინსვლა მრავალი!

თამილა ოზგეთელაშვილი, **ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი:** „ჩემო საყვარლებო,როგორ მინდოდა ეს დღე სხვანაირი ყოფილიყო,სიხარულის ყიჟინით,ბედნიერებით გაბრწყინებული... არ იდარდოთ,ცხოვრება იმდენ სასიამოვნო სიურპრიზს დაგახვედრებთ...ბევრჯერ მომენატრებით და მოგინაკლისებთ,რადგან თქვენთან ურთიერთობა სითბოთი და სიყვარულით მავსებდა...უამრავი ფერადი და ნათელი დღე მისურვებია,უღალატო ცხოვრებით იცხოვრეთ და ყოველთვის თქვენს მეგობრად მიგულეთ,გეფერებით უდიდესი სიყვარულით და გემშვიდობებით იმ რწმენით,რომ იმედებს არასოდეს გაგვიცრუებთ.“

ანი ბენაშვილი, **ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლე:** გილოცავთ ჩემო კარგებო სკოლის დამთავრებას.12 წელი ერთად ვართ.ვნახეთ ბევრი რამ: ერთად, სიხარულიც და მწუხარებაც. ერთმანეთის დანახვა გვაბედნიერებდა. მუდამ მიყვარხართ და მეამაყებით. ბედნიერი ვარ რომ ვარ თქვენი კლასელი. მადლობა ნანა მასწავლებელს ,ბაბული მასწავლებელს, რომ გვასწავლეს ერთმანეთის პატივისცემა, გატანა და ბევრი სხვა რამ. გავა დრო და მოგვენატრება ეს წუთები. სამწუხაროდ ამ კორონამ ხელი შეგვიშალა,მაგრამ მოვადღე როდესაც შევხვდებით ერთმანეთს და ავინაზღაურებთ ამ დაკარგულ წუთებს. მიყვარხართ ...უბრალოდ ვერ ვხვდები როგორ გავიდა ასე მალე თორმეტი დაუვიწყარი წელი.გისურვებთ წარმატებებს ჩემო კარგებო!

ნანა ჯავახიშვილი, **ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის ხელმძღვანელი:** მეთორმეტე კლასელებო, გილოცავთ სკოლის დამთავრებას. გზას დაგილოცავთ მომავლისკენ. წარმატების გზით გეკლოთ. არასოდეს შეგაშინოთ სიძნელემ ან განსაცდელმა ცხოვრების გზაზე. გახსოვდეთ: ყველა დაღმართს აღმართი მოსდევს და ყველაზე ბნელი ღამეც თენდება.მთავარია სიყვარულით იცხოვროთ და ყოველთვის სიმართლის მხარეს დადგეთ. დასანანია, რომ ღამაზ ბოლო ზარზე ვოცნებობდით და ასე დისტანციურად ვშორდებით ერთმანეთს. ყველას გულში გიხუტებთ და გეფერებით, უფალი გფარავდეთ!

ჯაბა ჯამასპიშვილი, **ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის თვითმმართველობის თავმჯდომარე:** ჩვენო ძვირფასო მეთორმეტეკლასელებო, გვსურს მოგილოცოთ თქვენი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, სკოლის დასრულება. დღეს მთელი სკოლა ეზოში უნდა ყოფილიყო და თეთრ პერანგებში აჭრელებულებს,სწორედ თქვენ უნდა გაგელამაზებინათ ეს დღე. თუმცა არაუშავს... ესეც მალე გაივლის. გვსურს გისურვოთ შინაარსიანი და მრავალფეროვანი ცხოვრება და გზა დაგილოცოთ,რამეთუ თამამად ვიტყვით,რომ ერთ-ერთი გამორჩეული კლასი იყავით,ისევე როგორც შემადგენლობით,ასევე საქციელით. ვიცით,რომ მუდამ გემახსოვრებათ თქვენი ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა და იმედი გვაქვს, ხშირად გვესტუმრებით კიდევაც... გვიყვარხართ და გეფერებით...

ლუკა ბაცაცაშვილი, **ხორნაბუჯის საჯარო სკოლის კურსდამთავრებული:** „ცოტა არიყოს უცნაური გრძნობა იყო, ძალიან დიდი ხანი ვემზადებოდით ამ დღისთვის, ერთი სული გვქონდა სკოლის დამთავრება აღგვენიშნა, მაგრამ გული დაგვწყდა, როცა გავაცნობიერეთ რომ იმ ადგილს ვტოვებდით სადაც 12 წლის განმავლობაში ყოველდღე ახალ თავგადასავალს ვპოულობდით. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ბევრ რამეში ჩვენც შეგვეშალა ხელი. ბანკეტი, ბოლო ზარი და ა.შ მოკლედ ყველაფერი ის რაც წლების მერე უნდა გაგვეხსენებინა, ვერ განვახორციელეთ. ესეც გარკვეულწილად გულდასაწყვეტია, თუმცა ყველაფრის მიუხედავად, მაინც ვგეგმავთ კვლავ განვაგრძოთ მზადება ბოლო ზარისთვისაც და ბანკეტისთვისაც. საბოლოოდ, გვაქვს იმის იმედი, რომ არ დავრჩებით გულდაწყვეტილები, და ყველაფერი იქნება ისე, როგორც გვინდოდა“.

ნინო დევრისაშვილი, **ხორნაბუჯის საჯარო სკოლის პედაგოგი:** „წელს სხვანაირი გაზაფხული მოვიდა საქართველოში. რაღაცნაირი, ცივი, გაცრეცილი, ნაცრისფერი. ჟამიანობამ სახლებში გამოგვკეტა დედამიწელები და შიშისგან გაფართოებული თვალებით შევცქერით მომავალს. ეს, რა თქმა უნდა, თქვენც შეგეხოთ, ჩემო საყვარელო მეთორმეტეკლასელებო. ერთ დროს აჟრიამებული საკლასო ოთახები სიცარიელემ და აუტანელმა სიჩუმემ მოიცვა. დღევანდელ დღეს აქ დიდი ფუსფუსი უნდა ყოფილიყო, დღეს თქვენთვის ბოლოჯერ დარეკავდა სკოლის ზარი და გაუწყებდათ ცხოვრების ახალი ეტაპის დასაწყისს. მინდა მოგილოცოთ ეს დღე. დღე, რომელიც ნელ-ნელა გაშორებთ ტკბილ ბავშვობას და ნათელი მომავლისკენ გიკვალავთ გზას. მინდა ყოველ თქვენგანს მოგეფეროთ, დაგლოცოთ და გისურვოთ უამრავი ნარმატება და წინსვლა. იცოდეთ, ეს გზა არ იქნება ყოველთვის ია-ვარდებით მოფენილი, მაგრამ მე მჯერა, რომ თქვენ ყველაფერს შეძლებთ, მუდამ გახსოვდეთ, რომ თქვენი წარმატების საიდუმლო თქვენს ხელშია. გჯეროდეთ, ხვალ უკეთესი დღე გათენდება!“

* * *

არბოშიკის საჯარო სკოლამ 2020 წლის მაისში, მე-80 კურსდამთავრებულების თაობა „გააცილა“. რატომ ბრჭყალები? იმიტომ, რომ ახალმა კორონავირუსმა ამ კურსდამთავრებულების ყველაზე ლამაზი, ჩახუტების, მოფერების დღე დისტანციური გახადა და ვირტუალურ სივრცეს უკვე თვეობით მიჯაჭვულებმა, ისიც, ისევე როგორც სხვა ბევრი რამ, აბსტრაქტული ცნებების სიაში შეიყვანა. მე-80 თაობის გამოშვება მარტივი არ არის,მაგრამ განსაკუთრებით რთულია, როდესაც მას ინტერნეტ სივრციდან, შორეული ეკრანების მიღმა ემშვიდობები. მოსწავლეებთან ერთად კი ამას პედაგოგებიც არანაკლებ განიცდიან, რადგან ბავშვების შრომასთან ერთად მათი შრომა, მონდომება და ენერგიაც მიჰყვება ამ წლებს. მარიამ ალადაშვილი, თამარ ალადაშვილი, თამარ გოგიშვილი, ლუკა ბოლოთაშვილი, მარიამ ზედელაშვილი, კარლო სეხნიაშვილი, მიხეილ მარტაშვილი, ლაშა ხვიბლიანი, თათია ფოცხვერაშვილი, ანა პოკიაშვილი, მარიამ უთრუთაშვილი, მარია მათეშვილი და გიორგი ზუბიაშვილი - ისინი ის კურსდამთავრებულები არიან, რომლებისთვისაც ეს დღე სასიხარულოსთან ერთად, ასმაგად დასამახსოვრებელიც იქნება, თავისი სიმორით, მაგრამ საოცარი სიახლოვით ერთმანეთთან, მასწავლებლებთან, სკოლასთან. ისინი სწორედ ის პირველი თაობა აღმოჩნდნენ, რომელმაც პირველმა დაამთავრა სკოლა დისტანციურად და ამით რაღაც ახალ, „უცხო ხილს გაუსინჯეს გემო“. მომავალ თაობებს კი უჩვენეს მაგალითი იმისა, რომ ამით არაფერი სრულდება და რომ ყველაზე მთავარი, ის რისთვისაც ამდენ ხანს ემზადებოდნენ, ჯერ კიდევ წინ აქვთ. სხვა „უცხო ხილის“ გასინჯვის ბედნიერება.

თამუნა ალადაშვილი სამედიცინოზე აპირებს ჩაბარებას. თუმცა, ე.წ „სათადარიგო გეგმაც“ აქვს და მას ფსიქოლოგია ჰქვია. მომავალს ოპტიმისტურად უყურებს და ფიქრობს, რომ მიუხედავად გარკვეული შეფერხებებისა, ყველაფერი გამოუვა და ნარმატებაც იქნება. ბოლო ზარის თემა, ისევე როგორც ყველა წლევანდელი კურსდამთავრებულისთვის, მისთვისაც მგრძნობიარეა და მასზე განსხვავებულადაც საუბრობს: „უპირველესად, მინდა ვთქვა, რომ ჩემი კლასით ვამაყობ. იმ ადამიანებით,რომლებიც 12 წლის განმავლობაში ყოველთვის ჩემს გვერდით იდგნენ. სიამაყეში და ამპარტავნობაში არ მინდა ჩამეთვალოს,მაგრამ მართლა შესანიშნავი და გამორჩეული კლასი გვაქვს და ზუსტად ამის გამო ყველა ელოდებოდა ჩვენს ბოლო ზარს. სამწუხაროდ, არ გამოვიდა. ეს ჩვენი ბოლო, ამაღელვებელი წელი უნდა ყოფილიყო. უამრავი რამ გვქონდა დაგეგმილი, მაგრამ ამაოდ. როდესაც მეუბნებოდნენ,რომ სკოლა მოგენატრებაო არ მჯეროდა და სულ ვამბობდი არასდროს მეთქი,თუმცა არასწორი აღმოვჩნდი. როგორც კი სახლში დავრჩი და დისტანციურ სწავლაზე გადავედით მაშინვე ვიგრძენი,რომ სკოლაში გატარებულ 12 წელს ვერაფერი შეცვლის. ის დრო მენატრება,როდესაც გაკვეთილები სრულფასოვნად გვიტარდებოდა და 5 წუთიანი დასვენებები,როდესაც მართლა უამრავი რამის გაკეთებას ვასწრებდით. ძალიან მწყდება გული,რომ ის ემოციები ვერ გამოვიარეთ,რომელიც ბოლო ზართანაა დაკავშირებული,მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა,რომ ჩვენმა კლასმა ერთი დიდი წიგნი დაწერა,უამრავი სითბოთი და სიყვარულით სავსე. და ბოლოს ვიტყვი იმას,რომ უდიდეს დანაკლის ვგრძნობ იმის გამო ჩვენი დარჩენილი ბოლო თვეები სკოლაში რომ ვერ გავატარეთ. გარდა ამისა, დისტანციური სწავლება, რთულიც იყო თავიდან. გამიჭირდა შეგუება. რაღაც ახალი გამოწვევა იყო მართლაც თითოელი ჩვენგანის ცხოვრებაში, მაგრამ ხომ იცით ადამიანისთვის შეუძლებელი არაფერია და ესეც შევძელით. თითქმის იგივე დატვირთვით გავაგრძელეთ სწავლა.

მარიამ ალადაშვილიც წლევანდელი კურსდამთავრებულია. მისი მეგობრების მსგავსად ისიც დიდი ხანი ემზადებოდა ამ დღისთვის, მაგრამ უკეთესი მომავლის იმედი არც მას დაუკარგავს: „რა თქმა უნდა დიდ ემოციებში ვართ, ვინაიდან მართლა 2-3 წლის განმავლობაში ვგეგმავდით და დარწმუნებული ვიყავით რომ ბოლო ზარი ძალიან მაგარი გამოგვივიდოდა. ეს მდგომარეობა და არსებული რეალობა ისეთივე მოულოდნელი იყო ჩვენთვის, როგორც ყველასათვის, თუმცა ბოლომდე ხელი არ ჩაგვიქნევია და იმედით ველოდებით უკეთეს ცვლილებებს“.

გარდა კურსდამთავრებულებისა, ეს დღე არანაკლებ მნიშვნელოვანი და განსხვავებულია პედაგოგებისთვისაც. სკოლის დირექტორი და პედაგოგი, მანანა ჭილიტაშვილი წლევანდელ ბოლო ზარს აფასებს და მის განსხვავებულობაზე საუბრობს: „წელს უჩვეულო ,,ბოლო ზარია“. დღე, რომელზეც ჩვენი მეთორმეტეკლასელები დიდი ხანია ოცნებობდნენ. ნაირფერად რთავდნენ ამ დღის ყველა დეტალს. თუმცა, აქამდე არნახულმა გამოწვევამ, რომლის წინამეც მთელი კაცობრიობა დადგა, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე. ყოველთვის ყველაფერი ისე არ ხდება როგორც ვგეგმავთ. დღეს ჩვენ უჩვეულოდ ვაცილებთ ჩვენი ქვეყნის გამორჩეულ თაობას, რომელსაც ახალ რეალობაში მოუწევს ცხოვრების ასევე ახალი ეტაპის დაწყება. მჯერა, რომ თითოეული მათგანი რწმენით, ნებისყოფის სიმტკიცით, ცოდნის გაღრმავების ჟინითა და დაუღალავი შრომით შეძლებს ცხოვრების ყველა გამოწვევის გამკლავებას. ცხოვრება მრავალფეროვანია, სავსეა მოულოდნელობებით, ამიტომაცაა საინტერესო. ყოველი ახალი განსაცდელი ახალი გამოწვევაა, ახალი გამოცდილებაა, რომელიც გვაძლიერებს და გვაერთიანებს. ერთად კი ყველაფერს უკეთესობისაკენ შევცვლით. გზას დავულოცავ ჩვენს კურსდამთავრებულებს და თუ ოდესმე ბავშვობასთან შეხვედრა მოუნდებათ, მოვიდნენ სკოლში. ჩვენ მათ ველით...“.

მათი კლასის დამრიგებელი და ისტორიის პედაგოგი, ნანა ზურაშვილი ბავშვებთან გატარებულ წლებს იხსენებს და იმ ემოციებზე საუბრობს, რომელთანაც ეს დღე უკავშირდება: „ბავშვები ძალიან გულდაწყვეტილები არიან. მათთან ერთად მეც. ეს ისეთი დღეა, რომელსაც ყველა თითქოს პირველი კლასიდანვე ელოდება. ასეთია ხოლმე მოლოდინი. მე-11 კლასში უკვე დაწერილი გვქონდა პროგრამა, როგორ და რა უნდა გაგვეკეთებინა ასეთ მნიშვნელოვან დღეს. ბავშვების პოზიციიდან რომ ვისაუბროთ ამაზე დიდი გულდაწყვეტა სხვა არაფერია. სამწუხაროა, მაგრამ ასეთ მდგომარეობაშია დღეს მთელი მსოფლიო. დისტანციურ სწავლებას რაც შეეხება, სად თვალებში რომ უყურებ და კითხულობ ბავშვების წუხილსა თუ ბედნიერებას, და სად ვირტუალურად. რა შეედრება პირდაპირ კონტაქტს. საიდუმლო არაა, რომ არავის არ სიამოვნებს ასეთი სწავლება, ეს მხოლოდ და მხოლოდ გამოუვალი მდგომარეობის შედეგი და ის გამოსავალი იყო, რომელიც განათლების სისტემამ მოძებნა. ძალიან მწყდება გული მათთან ერთად რომ ვერ ვხვდები ამ დღეს, ბოლო ზარი მაინც დაგვერეკაო-ამბობდნენ ბავშვები ისე წუხდნენ. ენით აღუწერელი გულდაწყვეტაა. თუმცა ვეგუებით. მომავალი გამოცდების ეიფორიაც ეხმარებათ ამის გადატანაში. ღმერთმა ქნას რომ მომავალში, სექტემბრშიც, ასე არ იყოს და სწავლაც აქტიურად გავაგრძელოთ. გარდა ამისა, საიუბილეო გამოშვება რომ იყო განსაკუთრებულად ემზადებოდნენ, ისეთი აქტიურები და კარგები არიან, უნდათ რომ საუკეთესოდ წარმოეჩინათ თავიანთი თავი. შემომთავაზეს ჩვენი კლასის სიმბოლური, ვარსკვლავის გახსნა. საინტერესო ბოლო ზარს ვგეგმავდით. თუმცა, მხოლოდ ერთ რამეს ვისურვებდი: მშვიდობა იყოს, ჯანმრთელად იყვნენ და მომავალი აუცილებლად დალაგდება. მთელს მსოფლიოს და საქართველოს ვუსურვებ პანდემიის სულ მალე დასრულებას. დაე, ასეთი გულის დაწყვეტა სხვა თაობებს არ გამოეცადოთ“.

სკოლა ჩვენს მსოფლმხედველობას, მისწრაფებებს, მიზნებსა თუ ოცნებებს მეტწილად განსაზღვრავს. სკოლაში ჩვენ ბევრ რამეს ვსწავლობდით და ვსწავლობთ. ვსწავლობთ სხვების დაფასებას, ერთმანეთის პატივისცემას, სხვებისა თუ საკუთარი შრომის ობიექტურ შეფასებას. ხშირად სწორედ სკოლა გვასწავლის მეგობრობას, გვიყალიბებს შინაგან კულტურას და ალბათ, მართლაც გვამზადებს იმ ცხოვრებისთვის, რომელიც მის კედლებს მიღმა ელოდება მოსწავლეს. წლევანდელი კურსდამთავრებულებისთვის ბოლო და დიდობის პირველი,განსხვავებული ზარი ერთდროულად დაირეკა, ახლა მათთვის ყველა კარი ღიაა!

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ბილეთისა და რიგის გარეშე

ახალმა კორონავირუსმა ყველანი აგვაფორიაქა და მსოფლიო რადიკალურად შეცვალა. დროებით შეჩერდა ყველა ქვეყნის ტურიზმი, დაიკეტა დიდი თეატრები თუ მუზემები და ახლა ცარიელი ქუჩები გასაკვირზე მეტად გასახარია. ადამიანები მსოფლიოს მასშტაბით სახლში დარჩენას ამჯობინებენ. იმისთვის, რომ კარანტინში ან თვითიზოლაციაში ყოფნა ერთფეროვანი არ გახდეს, საამისოდ ინტერნეტი ძალიან ბევრ გამოსავალს გვთავაზობს. ელექტრონული წიგნები, თამაშები, ფილმები, გასართობი გადაცემები, სტატიები და ა.შ საშუალებას გვაძლევს, არ მოვიწყინოთ და დრო ნაყოფიერად და მხიარულად გავატაროთ. ამ სტატიაში ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და შემეცნებით გზაზე უნდა მოგიყვეთ, რომელსაც მუზეუმის ვირტუალური ტური ჰქვია. Google Arts & Culture-ის დამსახურებაა, რომ დღეს-დღეობით მსოფლიოს სახელგანთქმულ მუზეუმებში ვირტუალურადაც შეგვიძლია, ტური მოვიწყოთ.მართალია სახლში ვართ, მაგრამ მოგზაურობას მაინც არ ვწყვეტთ და ონლაინ სივრცეში აქეთ-იქით დავბოდიალობთ.

საფრანგეთით დავიწყოთ და ცარიელი პარიზის ქუჩებს გადავავლოთ თვალი.

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მუზეუმი ლუვრი, ყველა ქვეყნის მოსახლეობას საოცარ საშუალებას აძლევს. თუ აქამდე რამდენიმე ათეული ევროს გადახდა და საათობით რიგში დგომა გიწევდათ, ახლა ერთი თითის დაჭერით ონლაინ მთელი მუზეუმის დათვალიერება შეგიძლიათ, რაც მთავარია, მუზეუმი სულ ღიაა და ლუვრის არნახული ხელოვნების შედევრები მუდმივად თქვენ გელოდებიან.

ლუვრი თუ უკვე დაათვალირეთ, ცოტა დრო ბრიტანეთსაც დაუთმეთ.

ლონდონის მუზეუმი უკვე კვირებია ონლაინ მუშაობაზე გადავიდა და ნებისმიერ დამთვალიერებელს თავის ვებსაიტზე ეპატიჟება. თქვენ უკვე 8 მილიონი შედევრის ნახვა რამდენმე წუთში შეგიძლიათ. როგორც ბრიტანელები ამბობენ, ონლაინ ტური ძალიან გავს რეალურს და მისი გამოტოვება დანაშაულის ტოლფასია.

გინახავთ ფილმი „ღამე მუზეუმში“? წავედით, ვაშინგტონი გველოდება.

ვაშინგტონის ნაციონალური მუზეუმი მსოფლიოს მოსახლეობას გასაოცარ შანსს აძლევს. თქვენ შეგიძლიათ გადაშენებული ცხოველების, ისტორიული მოვლენებისა და დაკარგული სამარხების დაუვიწყარი ტური მოიწყოთ, თან ისე როგორც ფილმშია, მუზეუმში მარტო იქნებით და დათვალიერებაში ხელს არავინ შეგიშლით. რჩევაა მუზეუმში მზის ჩასვლამდე მიხვიდეთ, ღამე შესვლა საშიშია, შეიძლება ცხოველები გაცოცხლდნენ, ზუსტად ისე როგორც ფილმშია.

მეტროპოლიტენის მუზეუმში ხომ არ შეგვესეირნა?

თუ ვირუსის გავრცელებამდე ნიუიორკში მოგზაურობა ვერ მოასწართ ან ჯერ არც დაგიგეგმავთ, მაშინ ონლაინ ტურით დატკბით და ერთ-ერთ ცნობილ, მეტროპოლიტენის, მუზეუმს ესტუმრეთ.

დაიჯერეთ ასეთ სანახაობას ბევრ ქვეყანში ვერ ნახავთ, ვან გოგი, ჯექსონ პოლოკი და სხვა გენიალური ხელოვანები თქვენს სტუმრობას ელოდებიან, ასე რომ სამოგზაუროდ მოემზადეთ.

ვინ წარმოიდგენდა, რომ კოსმოსში მოგზაურობას ონლაინ შევძლებდით

დროა კარანტინში ყოფნისას აუხდენელი ოცნებები ავიხდინოთ და კოსმოსში სამოგზაუროდ ნასას ონლაინ ტურს ვესტუმროთ. სულ რამდენიმე თვით, ნასა ყველა ადამიანს დაუვიწყარ, განუმეორებელ ტურზე ეპატიჟება, ისინი ვიდეოებითა და სხვადასხვა ვირტუალური გამოწვევებით სასიამოვნო დროის გატარებას გვთავაზობენ.

ქალბატონებო, ქალთა ნაციონალურ მუზეუმში ნამყოფი ხართ?

ვირჯინიას შტატში უკვე წლებია ქალთა ნაციონალური მუზეუმი არსებობს, მუზეუმს კი ყოველ წელს მილიონობით ტურისტი სტუმრობს. ახლა, სულ რამდენიმე თვით ძლიერი და დამოუკიდებელი ქალების ისტორიის მოსმენა ონლაინ შეგიძლიათ, მუზეუმი ყველა დამთვარიელებელს ქალთა სამყაროში სამოგზაუროდ იწვევს.

გთავაზობთ ცნობილი მუზეუმების ჩამონათვალს, რომელსაც ვირტუალურად შეგიძლიათ, ესტუმროთ.ესენია:

“British Museum”, ლონდონი

ლონდონის გულში მდებარე ეს სახელგანთქმული მუზეუმი საშუალებას აძლევს ვირტუალურ ვიზიტორებს, დაათვალიერონ უძველესი არტეფაქტები, მაგალითად: უძველესი როზეტას სტელა და ეგვიპტური მუმიები. მუზეუმის ვირტუალური ტურის განმავლობაში ასევე შეგიძლიათ ნახოთ ასობით ექსპონატი.

“Guggenheim Museum”, ნიუ-იორკი

გუგლი ასევე საშუალებას გვაძლევს, დავათვალიეროთ ნიუ-იორკში არსებული, ცნობილი გუგენჰეიმის მუზეუმი. თქვენ აქ აღმოაჩენთ იმპრესიონისტების, პოსტ-იმპრესიონისტების, მოდერნისა და თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებს.

“National Gallery of Art”, ვაშინგტონი

ამ ცნობილ ამერიკულ მუზეუმში ორი ონლაინ-გამოფენის ნახვა შეგიძლიათ. პირველი არის ამერიკული მოდის გამოფენა, 1740-დან 1895 წლამდე, გამოფენა მოიცავს კოლონიური და რევოლუციური ხანისთვის დამახასიათებელ სამოსს. მეორე გამოფენაზე კი თქვენ ნახავთ ნიდერლანდელი მხატვრის, იან ვერმეერის ნამუშევრებს.

“Musée d’Orsay”, პარიზი

ამ გალერეაში თქვენ შეგიძლიათ, დაათვალიეროთ უამრავი ფრანგი ფერმწერის ნამუშევრები. ეს მხატვრები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ 1848-1914 წლების პერიოდში. მათში შედიან მონე, სეზანი, გოგენი და სხვ.

“National Museum of Modern and Contemporary Art”, სეული

აღნიშნული მუზეუმი კორეის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მუზეუმია, რომელიც თანამედროვე შემოქმედებით სავსე 6 სართულს აერთიანებს.

“Pergamon Museum”, ბერლინი

პერგამონის მუზეუმი ბერლინის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მუზეუმია, რომელიც მნახველს ძალიან ბევრ დასათვალიერებელს სთავაზობს, მიუხედავად იმისა, თქვენ იქ ფიზიკურად იმყოფებით, თუ არა. ეს მუზეუმი ერთგვარად ანტიკური არტეფაქტების სახლია.

“Rijksmuseum”, ამსტერდამი

ამ მუზეუმში შეგიძლიათ, დაათვალიეროთ ნიდერლანდების ოქროს ხანის ნამუშევრები, რომლებიც რემბრანდტისა და ვერმეერის შემოქმედებასაც მოიცავს.

“Van Gogh Museum”, ამსტერდამი

ყველას, ვისაც ტრაგიზმი უყვარს, მაშინ ამ მუზეუმს უნდა ეწვიოს და ვან გოგის ნამუშევრები ახლოდან ნახოს. მუზეუმი სწორედ ვან გოგის ყველაზე დიდ კოლექციას აერთიანებს — 200 ნახატი, 500 ჩანახატი და 750 პერსონალური წერილი.

“The J. Paul Getty Museum”, ლოს ანჯელესი

ლოს ანჯელესში მდებარე ეს მუზეუმი აერთიანებს ევროპულ ხელოვნების ნიმუშებს, რომელთა ნაწილი მერვე საუკუნითაც კი თარიღდება. ეწვიეთ მას ვირტუალურად და დაათვალიერეთ ნახატების, ჩანახატების, სკულპტურების, მანუსკრიპტებისა და ფოტოების დიდი კოლექცია.

“Uffizi Gallery”, ფლორენცია

ეს ყველასთვის ცნობილი გალერეა, იტალიის სახელგანთქმულ ოჯახს — მედიჩებს ეკუთვნით. გალერეის შენობის დიზაინი 1560 წელს ჯორჯო ვაზარიმ შექმნა.

“MASP”, san paulu

სან პაულუს ეს მუზეუმი ბრაზილიაში მდებარე პირველი თანამედროვე მუზეუმია და მრავალ მნიშვნელოვან, ორიგინალურ ნამუშევარს აერთიანებს.

“National Museum of Anthropology”, მექსიკა

ატენეუმის მუზეუმი (ჰელსინკი) — ფინეთის ყველაზე დიდი მუზეუმი შთამბეჭდავი კოლექციებით.

ბუნების ისტორიის მუზეუმი (ვაშინგტონი) — აქ შეგიძლიათ დაათვალიეროთ არა მარტო მცენარეების და ცხოველების ნიმუშები, არამედ არქეოლოგიური და კულტურული არტეფაქტები.

თეთრი სახლი (ვაშინგტონი) — ინლაინ-ტური დამთვალიერებელს სთავაზობს გაეცნოს ამერიკის პრეზიდენტის რეზიდენციის ინტერიერს.

ამერიკის საჰაერო ძალების მუზეუმი (დეიტონი) — სამხედრო ავიაციის ყველაზე დიდი მუზეუმი მსოფლიოში.

აკროპოლისის მუზეუმი (ათენი) — არქეოლოგიური მუზეუმი, სადაც 3000-

მდე არტეფაქტი ინახება.

ახალი სამხრეთ უელსის სამხატვრო გალერეა (სიდნეი) — ეს არის ყველაზე დიდი მუზეუმი ავსტრალიაში, სადაც საოცარი ნამუშევრების დათვალიერებას შეძლებთ.

ახალი ზელანდიის ეროვნული მუზეუმი (უელინგტონი) — თუ გსურთ ახალი ზელანდიის შესახებ ვყელაფერი იცოდეთ, აუცილებლდა დაათვალიერეთ ამ მუზეუმის მიერ შემოთავაზებული ექსპონატები.

კოგე იუკარის სამხატვრო მუზეუმი (კოგე) — საუკეთესო შემოთავაზება იაპონელი მხატვრების შემოქმედების გასაცნობად.

კორეის ეროვნული მუზეუმი (სეული) — ისტორიული და სამხატვრო მუზეუმი კორეის რესპუბლიკაში, რომელიც უმთავრესი კულტურული ცენტრია.

პრამბანანის ტაძარი (კუნძული იავა) –ინდუისტური სამყაროს ნამდვილი მარგალიტი და შედევრი.

სიქსტის კაპელა (ვატიკანი) — დაათვალიერეთ მიქელანჯელოს ულამაზესი ფრესკები და ისიამოვნეთ.

კაპიტოლიუმის მეზეუმი (რომი) — მსოფლიოს უძველესი მუზეუმი ქანდაკებების უნიკალური კოლექციებით.

ხელოვნების ისტორიის მუზეუმი (ვენა) — იტალიური რენესანსის სტილის შენობა არაერთი გენიალური მხატვრის შემოქმედებას გთავაზობთ.

ბელვედერის გალერეა (ვენა) — ბაროკოს სტილის სასახლის კომპლექსი სხვადასხვა ეპოტის ფერწერულ ტილოებს აერთიანებს. გალერეა ყველაზე მეტად იმით არის ცნობილი, რომ აქ დაცულია გუსტავ კლიმტის შედევრი “კოცნა”.

ერმიტაჟი (სანკტ-პეტერბურგი) — აუცილებლად დაათვალიერეთ ერმიტაჟში დაცული ექსპონატები.

ტრეტიაკოვის გალერეა (მოსკოვი) — სასიამოვნო გასეირნება რუსი მხატვრების მიერ შექმნილ სამყაროში.

მიხეილ ბულგაკოვის მუზეუმი (მოსკოვი) — არ გაუშვათ შანსი ვირტუალურად მოხვდეთ მწერლის სამუშაო კაბინეტში და გაეცნოთ მის არქივს.

1964 წელს აშენებული ანთროპოლოგიის ეროვნული მუზეუმი აერთიანებს მექსიკის პრე-ესპანურ არქეოლოგიურ მემკვიდრეობას. აქ არის 23 საგამოფენო ოთახი, რომლებიც სავსეა ანტიკური არტეფაქტებით, მათ შორის, მაიას ცივილიზაციის ნიმუშებით.

სანამ დრო გაქვთ ყველა მუზეუმი მოინახულეთ, არავინ იცის ეს როდემდე გაგრძელდება, ასეთ შანსს კი მსოფლიო ხშირად არ გვაძლებს.

ვინ წარმოიდგენდა, რომ ერთ ღამეში, სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმის ნახვას მოვასწრებდით და კოსმოსის დათვალიერების შანსიც მოგვეცემოდა. არ დაიზაროთ და მოინახულეთ მუზეუმები, რომლებიც ონლაინ უფასოდ გიმასპინძლებენ!

* * *

ტრადიციულად, ამ დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქების მუზეუმების შესასვლელებთან გრძელი რიგები იქნებოდა, ზრდასრულები ახლადგახსნილ გამოფენებს დაათვალიერებდნენ, ბავშვები სპეციალურად მათთვის დაგეგმილი აქტივობებით გაერთობოდნენ, ასობით პერფორმანსი გაიმართებოდა, სპეციალური შეთავაზებები იქნებოდა სამუზეუმო გამოცემებსა და სუვენირებზე, თუმცა შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეების დიდი ნაწილი დაკეტილია, ზოგი კი ნელ-ნელა, ახალი წესების დაცვით იხსნება.

მიუხედავად იმისა რომ მსოფლიო თვითიზოლაციაშია, ის უმნიშვნელოვანესი კავშირი რაც მუზეუმსა და დამთვალიერებელს შორის არსებობს და მასპინძელს სიცოცხლეს სძენს, სტუმარს კი შთაგონებით და ახალი ცოდნით ავსებს, არ შეწყვეტილა, მეტიც კიდევ უფრო მჭიდრო გახდა.

იზოლაციის სხვადასხვა ეტაპზე მსოფლიოს მუზეუმებმა ძალიან დიდი მოცულობის საგანმანათლებლო მასალა გაასაჯაროვა, რომელმაც უამრავ ადამიანს შეუმსუბუქა სახლში ყოფნა და შეუნარჩუნა კავშირი იმ სამყაროსთან, რომელშიც რამდენიმე თვის წინ ვცხოვრობდით.

კორონავირუსს კულტურის სამყარო სულ უფრო მეტად გადაჰყავს ვირტუალურ სივრცეში. დღეს მუზეუმის საერთაშორისო დღეა და პირველად მთელი მსოფლიო ამ დღეს ძირითადად ციფრულ ფორმატში აღნიშნავს. პროექტები, ინსტალაციები, გამოფენები და მუზეუმებიც კი ონლაინ რეჟიმში გადადიან. კურატორები მთელ მსოფლიოში აღიარებენ, რომ ეპიდემიამ ისინი ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა.

ხის ორი ცხენის სამმეტრიანი სკულპტურები ხელოვანის ვლადიმერ იმერლიშვილის ახალი პროექტია, რომელიც ზუსტად ამ საგანგებო მდგომარეობაში შეიქმნა. თუმცა მისი განხორციელების იდეა უფრო ადრე გაჩნდა. წესით ინსტალაცია “დიდი რყევა” დამთვალიერებელს თბილისის ისტორიის მუზეუმში პირისპირ პირველად დღეს უნდა ენახა. პანდემიამ ყველაფერი შეცვალა, თუმცა ამ გამოწვევას მხატვარი, კურატორები და მთლიანად საქართველოს ეროვნული მუზეუმი ალტერნატიული გეგმითა და პროექტებით დახვდნენ. ვლადიმერ იმერლიშვილის “დიდი რყევის” ციფრულ სამყაროში ხვალ გამოიფინება.

სანამ გადაწყდება ბედი დაიდგმება თუ არა ინსტალაცია ქალაქში, ვლადიმერ იმერლიშვილის პროექტს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ვირტუალური ფესტივალის ფარგლებში აჩვენებენ. ერთ კვირიანი გეგმა, რომელიც ციფრულ სამყაროში განსხვავებულ და მრავალფეროვან ღონისძიებებს ითვალისწინებს დღეს, მუზეუმის საერთაშორისო დღეს გაიხსნა. მათ შორის იგეგმება მე-19 საუკუნის „ერივანსკის მოედნის“ - ანუ დღევანდელი თავისუფლების მოედნის 360 გრადუსიანი ციფრული რეკონსტრუქციის პრეზენტაცია.ვალო იმერლიშვილის სკულპტურა „დიდი რყევა“, როგორც ინსტალაცია, შეიქმნა თბილისის ისტორიის მუზეუმის საგამოფენო სივრცეში ექსპონირებისთვის. ხის ორი ცხენით წარმოდგენილი სამმეტრიანი სკულპტურები დასავლეთისა და აღმოსავლეთის არსებითი მახასიათებლების მხატვრულ კვლევას ეძღვნება. ეს ერთგვარი ორი საწყისი, საქართველოს გამორჩეული გეოგრაფიული მდებარეობითაც აიხსნება. ნამუშევარი, ბუნებრივი ფერებისა და განსხვავებული მასალების ზემოქმედებით გამოხატული, ცივილიზაციათა შორის არსებული წინააღმდეგობების, დიდი რყევების და ბალანსის იდეის მატარებელია.

მოამზადა
ხათუნა გენაშვილმა

პანდემიის ფასი

„ყოველი სინამდვილე თითქმის მუდამ წარმოუდგენელი და დაუჯერებელია, თუმცა თავისი გარდუვალი კანონები კი გააჩნია და რაც უფრო ნამდვილია, ზოგჯერ მით უფრო დაუჯერებელიც.“

|თედორე დოსტოევსკი, „დანაშაული და სასჯელი“|

ასეთი დაუჯერებელი სინამდვილი წინაშე აღმოჩნდა მსოფლიო. 2020 წელი მნიშვნელოვანი გაურკვევლობით დაიწყო. კორონავირუსმა საფრთხე შეუქმნა ადამიანების ჯანმრთელობას და შეაფერხა ეკონომიკური საქმიანობა ჩინეთში, რაც მსოფლიო ეკონომიკაზეც აისახა – მსოფლიო ბირჟებზე აქციების ფასის დაცემა, ვალუტის გაუფასურება, მოგზაურობის შეზღუდვა და სხვა. საქართველომ კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დროებით შეაჩერა ვიზიტორების მიღება. დღეს უკვე მიმდინარეობს საუბარი მსოფლიოში იმის თაობაზე, რომ გლობალური ეკონომიკა, გლობალური ვაჭრობა სერიოზულად ზარალდება, ზარალდება ავიაციის სფერო, ზარალდება ტურიზმის ბიზნესი და ა.შ. ვირუსის ხანგრძლივობის მიუხედავად ნეგატიური გავლენა ტურიზმზე მოსალოდნელია. საქართველომ დროებით შეაჩერა პირდაპირი ფრენები ჩინეთთან და ირანთან. ამ ქვეყნების წილი მთლიან ვიზიტორებში და ტურიზმის შემოსავლებში მცირეა და ყოველთვიურად ფრენების აღდგენამდე მცირე შემოსავლები დაგვაკლდება. თუმცა, ვირუსთან დაკავშირებული პანიკის გამო, სავარაუდოდ სხვა ქვეყნის ვიზიტორებიც შეიკავებენ თავს მოგზაურობისგან და შესაბამისად ტურიზმის დანაკარგები გაიზრდება. თუმცა წინასწარ ძნელია ამ პოტენციური დანაკლისის პროგნოზირება. ტურიზმის შემცირების შემთხვევაში ასევე მოსალოდნელია ნეგატიური გავლენა უძრავ ქონებაზე. მოსალოდნელია გაყიდვების შენელება, მათ შორის უცხოელების მხრიდან. ვირუსის შედეგად მსოფლიოში ნავთობის ფასები ეცემა, რაც საქართველოს როგორც ნავთობ-იმპორტიორი ქვეყნისთვის ხელსაყრელია. თუმცა, ნავთობის ფასების მნიშვნელოვან შემცირებას უარყოფითი ეფექტიც აქვს, რადგან რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან შემცირდება ფულადი ნაკადების შემოდინება. შესაბამისად, ჯამური გავლენა შეიძლება უარყოფითიც იყოს. ტურიზმის შემოსავლების მოსალოდნელი შემცირება ლარზე უარყოფითად აისახება.

მიუხედავად ანტიკრიზისული გეგმისა და ვიზიტორებისთვის ივლისადან საქართველოს ღირშესანიშნაობების გახსნისა, ტურიზმი ყველაზე დიდ დარტყმას ვერ ასცდება. საბაზო სცენარით 2020 წელს საქართველოში ტურიზმი 65%-ით შემცირდება.

„თიბისი კაპიტალის“ კვლევაში, რომელმაც საქართველოს ეკონომიკაზე კორონავირუსის ზეგავლენა გამოიკვლია, ეკონომიკის აღდგენის სამი სცენარი არის განხილული - სწრაფი აღდგენა; საბაზო; გვიანი აღდგენა. სწრაფი აღდგენის შემთხვევაში, კვლევის ავტორები ვარაუდობენ, რომ ქვეყანაში ტურიზმი წელს მხოლოდ 55%-ით შემცირდება. საბაზო სცენარით - 65%-იან კლებას ვარაუდობენ, ხოლო ეკონომიკის გვიანი აღდგენის შემთხვევაში, კვლევის ავტორები ქვეყნის ტურიზმის 80%-იან ვარდნას გარდაუვლად მიიჩნევენ. მთავრობა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ცდილობენ დარგზე შოკი შეარბილონ, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ სიტყვიერად მიდის მსჯელობა.

„ჩვენ ძალიან პროდუქტიული და წარმომადგენლობითი შეხვედრა გვქონდა ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებთან“, -განაცხდა ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, მარიამ ქვრივიშვილმა. ონლაინ დისკუსიაში მონაწილეობდნენ გიდები, სასტუმროებისა და ტურისტული სააგენტოების, ასევე სარესტორნო ბიზნესისა და ღვინის ტურიზმის წარმომადგენლები.

„როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, მიმდინარეობს მუშაობა ტურიზმის ინდუსტრიისთვის დახმარების პაკეტის განახლებაზე. შესაბამისად, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, მოგვესმინა ტურიზმის სექტორისგან, თუ რა სჭირდებათ მათ, რათა განაგრძონ ამ სექტორში ოპერირება. მოვისმინეთ არაერთი საინტერესო წინადადება, რომელიც დაგვეხმარება ეფექტური და მიზნობრივი დახმარების ფორმირებაში. ტურიზმის ინდუსტრია განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე დადგა. ბევრმა ადამიანმა დაკარგა შემოსავლის წყარო. მნიშვნელოვანია, ხელი შევუწყოთ ადამიანებს იმისთვის, რომ მათ არ დაკარგონ დასაქმების ადგილები და შესაბამისად, შემოსავლის წყარო. ასევე მნიშვნელოვანია ხელი შევუწყოთ კომპანიებს, რათა განაგრძონ ოპერირება და ადამიანების დასაქმება“, - განაცხადა მარიამ ქვრივიშვილმა ტურიზმის სექტორის წარმომადგენლების შეხვედრის შემდეგ. როგორც გაირკვა, ხელისუფლებაში ყველა ერთხმად არ ეთანხმება ტურიზმის დახმარების პრიორიტეტულ პროგრამას. პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია ფიქრობს, რომ ტურიზმში ყველაზე მეტი თანხა არ უნდა დავხარჯოთ. **„ანტიკრიზისული საბჭოს სხდომაზე მე დავსვი საკითხი ასე: მთავარია, ერთი წლის შემდეგ ჩვენ ვთქვათ, რომ დავხარჯეთ ის თანხები იმ ინდუსტრიაში, რომელსაც ყველაზე მეტი შემოსავლის მოტანა შეეძლო და არა იმაში, რომელსაც ყველაზე მეტი შემოსავალი შემოჰქონდა ადრე. პირდაპირ ვთქვი, რომ ტურიზმი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველაზე მეტი თანხა ტურიზმში უნდა დავხარჯოთ. ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია დავინახოთ ის გამოწვევები, რაც შემოსავალს მოიტანს. ყველა ექსპერტი ამბობს, რომ ადამიანები ყველაზე ნაკლებს დახარჯავენ მოგზაურობაში. ეს ცხადი ტენდენციაა და ამას უნდა ვუპასუხოთ“,**-აღნიშნა კაკულიამ. ის დაეთანხმა ლევან კობერიძეს, რომ ახლა ქვეყანას აქვს შანსი მკაფიოდ გამოკვეთოს, თუ რა ეკონომიკურ პოლიტიკას აირჩევს, რადგან მთელი მსოფლიო ისევ დაუბრუნდა ამ საკითხს.

„ადრე ტენდენციები იყო, რომ ბევრი ქვეყანა მიყვებოდა ინერციას ეკონომიკაში, ახლა ამერიკაც, ჩინეთიც და სხვა ქვეყნებიც მსჯელობენ იმაზე, თუ როგორი ეკონომიკურ პოლიტიკას განსაზღვრავენ მომავალში. ჩვენც უნდა ჩამოვყალიბდეთ ამაში და შევარჩიოთ პრიორიტეტები“, - განაცხადა კაკულიამ.

ამასობაში კი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია სტარტისთვის ემზადება. ისინი ვარაუდობენ, რომ ისრაელი იქნება ის პირველი ქვეყანა, საიდანაც საქართველოში ვიზიტორები შემოვლენ. „მოლაპარაკებები მიმდინარეობს ძალიან სწრაფად და ეფექტურად. როგორც სამუშაო პროცესებიდან ჩანს, ისრაელი სავარაუდოდ, ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იქნება, საიდანაც ჩვენ მოგზაურებს ივლისიდან ვუმასპინძლებთ“, - განაცხადა მარიამ ქვრივიშვილმა.

ისრაელში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლაშა ჟვანიაც ადასტურებს, რომ საქართველო განიხილავს ისრაელს იმ ქვეყნებთან ერთად, რომლისთვისაც შეიძლება გაიხსნას ტურიზმი, ასევე ისრაელიც განიხილავს საქართველოს ასეთ მიმართულებად.

„ჩვენ ინტენსიურად მოკლე დროში უნდა გავიაროთ გრძელი გზა, ეს არის ეპიდემიოლოგიური მონაცემები, ტენდენციები, რომელიც ქვეყნებს შორის უნდა გაიცვალოს. ის, რომ იმ 8 სახელმწიფოს შორის ისრაელი საქართველოს მოიაზრებს რომელთანაც გაიხსნება ტურიზმი და საქართველო, თავის მხრივ, ისრაელს, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი“, - განაცხადა ლაშა ჟვანიამ.

დავინტერესდით რა მდგომარეობაა ტურისტული მიმოსვლის შეჩერების შემდეგ ჩვენს რაიონში. დავუკავშირდით საოჯახო სასტუმროს მეპატრონე თემურ პოპიაშვილს. ჩვენთან საუბარში მან აღნიშნა: ***„ახალი კორონავირუსით გამოწვეულმა შეზღუდვებმა ძალიან უარყოფითად იმოქმედა ჩვენი საოჯახო სასტუმროს განვითარებაზე, ისევე, როგორც მთლიანად ქვეყნის ტურისტულ სექტორზე. ჩვენი ბიზნესისთვის კიდევ უფრო მძიმე გადასატანი იქნება ეს პერიოდი, რადგან ვიყავით გაფართოვების პროცესში და გასული წლების მზარდ მაჩვენებლებზე დაყრდნობით ამ სეზონზე სტუმრების მნიშვნელოვან ზრდას ველოდით, რის გამოც, ბანკიდან საკმაოდ დიდი კრედიტი ავიღეთ. ამ მხრივ, ძალიან დაგვეხმარა დაწესებული სამ თვიანი საშეღავათო პერიოდი, თუმცა უკვე პირველ ივლისს გადის ეს ვადა. მიუხედავად იმისა, რომ ივლისიდან დაანონსებულია უცხოელი ტურისტების მიღება, არ მაქვს იმის მოლოდინი, რომ არსებულმა ნაკადმა სასტუმროს ხარჯებიც დაფაროს და კრედიტის გადახდაც შევძლოთ, ამიტომ ჩვენი ბიზნესისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ შეღავათის გავრცელება სულ მცირე მიმდინარე წლის ბოლომდე.“***

საოჯახო სასტუმროს მეპატრონე ნელი გოგეჯიშვილი ამბობს, რომ პანდემიამ მისი საოჯახო ბიზნესი მკვეთრად დააზარალა.-***„21 მარტიდან, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ შეჩერდა ჩვენი ვიზიტორების სტუმრობაც. იმ მომენტისთვის, ჩვენთან მყოფი ტურისტები, იძულებულები გახდნენ, ვადაზე ადრე დაეტოვებინათ სასტუმრო და დაბრუნებულიყვნენ საკუთარ ქვეყნებში. ცოტა ხნით ადრე, სასტუმროს პირობების გაუმჯობესების მიზნით, მოგებული გრანტით და ბანკიდან აღებული კრედიტით მოხდა სასტუმროში რამდენიმე სველი წერტილის დამატება და რეკონსტრუქცია. საქმიანობის შეჩერების შემდეგ რთულ ვითარებაში აღმოვჩნდი, რადგან შემოსავალი აღარ იყო და კრედიტის დასაფარი თანხა ზედმეტ პრობლემად დაგვაწვა მხრებზე. ეტაპობრივად იხსნება შეზღუდვები და ვიმედოვნებ, რომ ტურისტული მიმოსვლაც აღდგება. იმ ფაქტორსაც თუ გავითვალისწინებთ, რომ კახეთი მწვანე ზონაა, რა თქმა უნდა, ჩვენს მიმართ ინტერესიც მეტია“.***

შეზღუდვების ეტაპები ალბათ მალე დასრულდება. შვებით ამოისუნთქებს დედამიწის მოსახლეობა. განახლდება მიმოსვლა, შესაბამისად აღდგება ტურიზმიც. მაგრამ ის ფასი, რომელიც მსოფლიომ პანდემიისთვის გადაიხადა, ყველანაირი გაგებით, ძალიან ძვირია.

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

---

18 მაისი – მუზეუმების მსოფლიო დღე

რეკომენდაციების სრული დაცვით, თუმცა საინტერესოდ

/დასაწყისი.გვ.2/

ჩვენი ვაზი უძველესია მსოფლიოში. ეს დასტურდება არქეოლოგიური გათხრებისას- ყურძნის ნიჩნებისა თუ საღვინე ჭურჭლის-ქვევრების, დოქების, ფიალების, აზარფეშების აღმოჩენით. ვაზი ქართველი ერის განუყოფელ საერო თუ სასულიერო ნანილად იქცა. ზიარებისას კი განსაწმენდად მიღებული პური და ღვინო ქრისტეს სისხლსა და ხორცთან ასოცირდება. საქართველოს გარდა არცერთ ქრისტიანულ ქვეყანაში არ არსებობს „ვაზის ჯვრის კულტი“. სწორედ ვაზის ლერწმისგან შეკრული ჯვრით იქადაგა ქრისტეს რჯული ქალწულმა წმ. ნინომ. ვაზს მიეძღვნა არაერთი საგალობელი, მათ შორის კი გამორჩეული დავით აღმაშენებლის შვილის, დემეტრე უფლისწულის საგალობელი „შენ ხარ ვენახი“, რომელიც ღვთისმშობელს მიეძღვნა. მრავლად გვხვდება ვაზის ორნამენტები ეკლესია-მონასტრებსა თუ ყოფით ნამუშევრებში. ამასთან, ავტორი მოგვითხრობს ვაზის ჯიშების, მისი მოვლა-მოყვანა-დაბინავების ტრადიციებისა და მეღვინეობის განვითარების შესახებ.

მსმენელისთვის ნამდვილად საინტერესო თემა შეარჩია მუზეუმის სპეციალისტმა მარინა მახარაშვილმა. მან ისაუბრა დედოფლისწყაროში გავრცელებული სამკურნალო მცენარეების შესახებ. პირველყოფილი ადამიანი იბრძოდა თავის გადარჩენისთვის. იბრძოდა ცარიელი ხელებით და შიშველი სხეულით, რაც მას საფრთხეს უქმნიდა დაკაწვრის, გაჭრის, დავარდნისას ძვლების დაზიანების, გაციების და სხვა სახით. ის იძულებული იყო ეზრუნა საკუთარ ჯანმრთელობაზე. პრაქტიკამ და, აქედან გამომდინარე, დაკვირვებებმა აჩვენა, როგორ მოეხმარებინა ბუნებრივი საშუალებები საკუთარი ინტერესებისთვის. აკვირდებოდა ბალახებს, ნაყოფებს, ფესვებს, ყვავილებს და თანდათან ჩამოყალიბდა ხალხური მედიცინა, რომელიც ჯერ ზეპირსიტყვიერად, შემდეგ კი ხელნაწერი თუ ნაბეჭდი სახით ვრცელდებოდა ხალხში. არსებობდა წიგნი „უსწორო კარაბადინი“ და „წიგნი სააქიმო“, რომლის ავტორები არიან ქანანელი და ხოჯაყოფილი, რომელთა შესახებ ბევრი ცნობა არ მოიპოვება. სამაგიეროდ შემონახულია ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი“. ზაზას პორტრეტი ფრესკის სახით დაცულია ყინწვისის ტაძარში. მეფე ვახტანგ მე-VI დიდი ღვაწლი დასდო ქართულ მედიცინას. მან შეკრა და წიგნად გამოსცა ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი“ და ქანანელის „უსწორო კარაბადინი“. ჩვენი წინაპრები ამ საქმიანობით რომ სერიოზულად იყვნენ დაკავებულები, ამაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი ნივთებიც მეტყველებს. ჩვენი, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმშიც იხახება ნივთები, რომელიც, სავარაუდოდ, სააფთიაქო დანიშნულებისა იყო და ანტიკურ ხანას განეკუთვნება. ხალხში სულ მუდამ არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც წინაპრებისგან თაობიდან თაობას გადმოცემულ ცოდნას ფლობდნენ. ჩვენს რეალობაში თითქმის ყველა ვიცნობდით ხანდაზმულ ქალბატონს ნინა ყოჩიაშვილს, რომელსაც „შავ ნინას“ ეძახდნენ. მან უამრავი რეცეპტი იცოდა სხვადასხვა მცენარეებით, ნაყოფით თუ ფესვით დამზადებული ნაყენისა და მალამოსი, რომელიც მრავალი დაავადების განკურნების უსაფრთხო საშუალება იყო. ის თავის დროზე და ნიშანდობლივ იმ ადგილებში აგროვებდა სამკურნალო საშუალებებს. გული სწყდებოდა, რომ არავინ ინტერესდებოდა ამ ცოდნით. ერთი წელიც არ არის, რაც ნინა დეიდა გარდაიცვალა და დარჩა მისი ხელით ჩაწერილი მრავალი რეცეპტი, თუმცა, სამკურნალო მასალების შემგროვებელი აღარავინაა.

ხალხური მედიცინის ცოდნით გამოირჩევა სამრეკლოს მკვიდრი ნათელა მილაძე. არბოშიკელებს კი კარგად ახსოვთ თამარა ბებო - „ნიკანაათ თამარა“, რომელიც მოტეხილობებს მკურნალობდა საკმელისა და მაღალგრადუსიანი არყის ნარევით.

ჩვენს გარშემო უამრავი სამკურნალო მცენარეა, მაგალითად: ყაყაჩო, ასკილი, მრავალძარღვა, ტყის ზღმარტლი, გიორგენები, ბარაბმო, ნიახური, ქონდარი, ოხრახუში, ნუში, ჭინჭარი, ქრისტესსისხლა, გვირილა, ბროწეული, კოწახური, ლელვი, საკმლის ხე, ცაცხვი, ღვია, კრაზანა, თავშავა, კუნელი, მუხის ქერქი, მინდვრის ქონდარი (ბექქონდარა), ნაძვის გირჩები, მინდვრის პიტნა, მარწყვის, მაყვლის, ჟოლოს ფოთლები, ვარდკაჭაჭა, ვირის ტერფა და სხვა მრავალი, მაგრამ მთავარი, მათი სწორად მოხმარება ვიცოდეთ, – დაასრულა თავისი გამოსვლა ქალბატონმა მარინამ და ყველას ჯანმრთელობა უსურვა. კონფერენცია შეაჯამა მუზეუმის დირექტორმა ლალი გურასპაულმა. წარმოდგენილი თემების მაღალ დონეზე მომზადებისა და კონფერენციის ორგანიზებისთვის მთელ კოლექტივს მადლობა გადაუხადა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსმა ილია მარტყოფლიშვილმა.

ნაირა გორაშვილი

დისტანციური დამშვიდობება სკოლასთან



ნინო ფიროსმანაშვილი - **გამარჯვების საჯარო სკოლის მოსწავლე** - „2020 წლის აბიტურიენტებმა ცოტა უცნაურად დავამთავრეთ სკოლა, თუმცა მჯერა, რომ წინ დიდი წარმატება გვაქვს და ყველაფერი კარგად იქნება. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო, სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის პედაგოგებს, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენს განვითარებაში. ძნელია ,,ორ სიტყვაში" ჩავტიო ის, რისი თქმაც მინდა, მაგრამ გულით და სულით მადლიერება მათ ჩემგან.

ნინო გოგოჭური, **გამარჯვების საჯარო სკოლის მოსწავლე**; „თვალის დახამხამებაში გაირბინა თორმეტმა წელმა. ახალი ეტაპი უჩვეულო ვიტარებაში იწყება. უამრავი საინტერესო და ბედნიერი წუთები დამიგროვდა. გარემოებიდან გამომდინარე არ მეძლევა საშუალება პირადად გადავუხადო მადლობა სკოლის პედაგოგებს გაწეული ამაგისათვის. მათი გვერდში დგომა, უამრავჯერ დამეხმარა თავის გამოვლენაში. გუშინდელივით მხსოვს პირველი ნაბიჯები სკოლაში. პირველივე დღიდან იწყება ჩემი გონებრივი განვითარება და სულიერი აღზრდა, რაშიც დიდი წვლილი თითოეულ მასწავლებელს მიუძღვის. განსაკუთრებით დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სკოლის დირექტორსა და კლასის დამრიგებელს ჩემთან გატარებული ნაყოფიერი დროისათვის. სკოლის პერიოდი უძვირფასესია, ყოველთვის ჩემს გულში იქნებით."

გვანცა გოგიჩაიშვილი, **გამარჯვების საჯარო სკოლის მოსწავლე** - ქვეყანაში არსებული რთული მდგომარეობიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, არ გვაქვს ბოლო ზარი. კორონა ვირუსმა შეცვალა ჩვენი ცხოვრების სტილი და სრულიად სხვაგვარად გვიწევს განათლების მიღება. ვიმედოვნებ, ყველაფერი კარგად იქნება და ჩვენ დასახულ მიზანს ყველა მივაღწევთ. მეთორმეტე კლასელებს გილოცავთ სკოლის დამთავრებას და გისურვებთ წარმატებებს ახალი ცხოვრების გზაზე. სკოლის პირველი დღე განსაკუთრებულად მახსოვს,რადგან სწორედ ამ დღით შევდგი ფეხი სრულიად ახალ გარემოში,მაშინ შევიძინე მეგობრები. რამდენჯერმე მომიწია სკოლის გამოცვლა,მაგრამ ვერ ვიტყვი,რომ ეს ცუდი იყო, პირიქით, უფრო მეტი ცოდნა და გამოცდილება მივიღე, ვიდრე მანამდე გამაჩნდა. დღეს კი ვამთავრებ გამარჯვების საჯარო სკოლას. აქ მერვე კლასში გადმოვედი. ყველა თბილად დამხვდა. მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ მასწავლებელს, რომლებმაც ჩემს განვითარებაში შეიტანა წვლილი. ისინი ყოველთვის ზრუნავდნენ ჩვენზე. პირველ რიგში, გვასწავლიდნენ ადამიანობას, შემდეგ გადმოგვცემდნენ ცოდნას, უხაროდათ ჩვენი წარმატება. მინდა ვთქვა,რომ მასწავლებელთა ამაგი დიდია და ყველამ უნდა დააფასოს ის. ***,,ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი,რომ არ ჰყოლოდა."*** მიყვარხართ და ძალიან მომენატრებით."

წყლის ახალი გრაფიკი დედოფლისწყაროს

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის ინფორმაციით, **დედოფლისწყაროში წყალმომარაგების ახალი გრაფიკის დაწესება განაპირობა წყლის ხარჯის მომატებამ. მოსახლეობა წყალს სარწყავად იყენებს, რის გამოც რეზერვუარში წყალი მალე თავდება. ორგანიზაცია მოსახლეობას აფრთხილებს, რომ სოფლებში: ხორნაბუჯსა და სამრეკლოში წყლის გაშვების დროს ქალაქის წყალმომარაგების ქსელში 1 საათის განმავლობაში წნევა დაეცემა, რომელიც მალევე აღდგება. სერვის ცენტრი მოსახლეობას მოუწოდებს, რომ პანიკის საფუძველი არ არსებობს.**

ახალი გრაფიკით წყალი მიეწოდება ქ.დედოფლისწყაროს დასავლეთ ნაწილს თვის კენტ რიცხვებში - 08:30სთ-დან 15:00 სთ-მდე და აღმოსავლეთ ნაწილს თვის ლუწ რიცხვებში-08:30სთ-დან 15:00 სთ-მდე, ხოლო გურამიშვილის, მთის, ვაჩნაძის და პატატიშვილის ქუჩებს ლუწ რიცხვებში-06:30სთ-დან 08:30-სთ-მდე. სოფელ ზემო ქედის მოსახლეობას 4-5 საათი ყოველ მეოთხე დღეს. სოფელ ზემო ქედს 07:00სთ-დან 19:00 სთ-მდე ყოველ მეორე დღეს. არხილოსკალოს 24სთ ყოველ დღე (ზანდოველების უბანი ყოველ მეოთხე დღეს 15:00სთ-დან 19:00სთ-მდე. სოფელი გამარჯვება - 08:00სთ-დან 15:00სთ-მდე ყოველდღე. სოფელი მირზაანი ყოველ მესამე დღეს 08:00სთ-დან 15:00სთ-მდე. ზემო მაჩხაანი - აბონენტთა 50%-ს ყოველ მესამე დღეს ოთხი საათი, ხოლო აბონენტთა 50%-ს ყოველ მესამე დღეს ორი საათი. სოფელ ოზაანში 10საათი ყოველდღე. სოფელი სამრეკლო - აბონენტთა 60% ყოველ მესამე დღეს ორი საათი. სოფელ ოზაანში 10საათი ყოველდღე. სოფელი სამრეკლო - აბონენტთა 60% ყოველ მეორე დღეს 3 საათი, 40% - ყოველ მეორე დღეს 08;00სთ-დან 15:00სთ-მდე. ხორნაბუჯი - ყოველ მეორე დღეს 10:00სთ-დან 16:00სთ-მდე.

ულოცავენ!

მარინა ღვინიაშვილს!

დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და უზღვავ ენერგიას თქვენს საუკეთესო ოჯახთან ერთად. გვინდა, რომ სულ ასეთი ბედნიერების ღიმილი ანათებდეს თქვენს სახეს!

კლარა, სტეფანე, მანანა, მარინა, ლია ოზაშვილები, ალეკო და ლალი ალადაშვილები ოჯახებით.

მერაბ როზიტაშვილს!

გილოცავთ 80 წლის იუბილეს! გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ენერგიულ წლებს თქვენს ოჯახთან და საყვარელ საქმესთან ერთად. უკვე 50 წელია, რაც სოფლის მეურნეობას და მცენარეთა დაცვას ემსახურებით. გვიხარია, რომ ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი ხართ!

პატივისცემით,
გაზეთ „შირაქის" რედაქცია

მანანა ყატაშვილს!

კლარა ოზაშვილი ოჯახით, დაბადების დღეს ულოცავს მანანა ყატაშვილს. ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და მუდმივ სიხარულს ოჯახთან ერთად.

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

სსიპ კოლეჯი „აისი"
დედოფლისწყაროს ფილიალი
აცხადებს

აპლიკანტთა საშემოდგომო მიღებას 2020 - 2021 სასწავლო წლისათვის
შემდეგ პროგრამებზე:

1. თმისა და სილამაზის მომსახურეობა - /მესამე დონე /
2. ელექტროობა - / მესამე დონე /
3 ქვის სამუშაოების წარმოება - / მესამე დონე /
4. ბუღალტერი -/მეხუთე დონე - მიიღებიან სრული ზოგადი განათლებით/

მიმდინარეობს შემდგი სპეციალობების ავტორიზაცია. დასრულებისთანავე დაიწყება აპლიკანტთა რეგისტრაცია.

1.თექის დამზადება-/მესამე დონე/
2. საექთნო საქმე-/მეხუთე დონე/
3.შემდუღებელი-ინტეგრირებული

ჩარიცხვა ხდება ტესტირების საფუძველზე კონკურსის წესით.
სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ

სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
1. 2 ცალი ფოტოსურათი /ზომით 3X4/
2. პირადობის მოწმობის ასლი
3. განათლების მოწმობის ასლი დამოწმებული ნოტარიულად
4. განცხადება /ადგილზე შევსებით /

საბუთების მიღება დაიწყო!
იჩქარეთ!

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის
გთხოვთ, მობრძანდეთ კოლეჯში შემდეგ მისამართზე:
ქ. დედოფლისწყარო, სოფელი სამრეკლო (ყოფილი ჯაფარიძე)
ტელ: 577 557 159; 577 962 967

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 25.05	სამშაბათი 26.05	ოთხშაბათი 27.05	ხუთშაბათი 28.05	პარასკევი 29.05	შაბათი 30.05	კვირა 31.05
დღე	13°	24°	23 °	24°	27 °	29°	24 °
ღამე	8 °	12 °	12 °	16 °	18 °	19 °	16 °

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.